№16(218) 18-24 მაისი, 2001 წ · პარასკევის გამოშვება · ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია 2001







შევერკინოთ ერთმანეთს?! - მესამე ტური (მე-10-11 გვ.)

**ანუ ელეონორა და თინა ფურცელაძეების ტრიუმფი გასული „ფანტაზიის“ ტურნირებში**

## დღევანდელი ნომრის წიაღსვლები

*** რა უშლის ხელს კომპოზიტორს თბილისის ისტორიის შესწავლაში?!

*** მღედრამა შიმპანზემ ხალათის ჯიბიდან კალამი ამოიღო და რაღაც ჩანაწერები გააკეთა

* * * იგი ისე თამაშობდა მეფეს, თითქოს ეშინოდა, რომ ვიღაც მოვა და ტუზის როლს შეასრულებს.

* * * იტალიელები ერი კი არა, ერთ ენაზე მოლაპარაკე ერთად თავშეყრილი ხალხია. ისინი საკუთარ თავს პირველ რიგში იტალიელებად კი არა, რომაელებად, მილანელებად, სიცილიელებად ან ფლორენციელებად თვლიან.



***რა არის თუნდაც ეს: www.uefa.com

*** – როგორი უნდა იყოს იდეალური მდივანი ქალი?
– ოცი წლის... ოცდაათწლიანი სტაჟით.

***ნიმცოვიჩის ყველაზე დიდი მოძულე...

1. ცნობილი გერმანული ფირმა, რომლის სარეკლამო დევიზი ასე ჟღერს - „საქართველოში, საქართველოსთვის“ (**7**). 2. ებრაული პოეზიის შესანიშნავი მთარგმნელი ქართულ ენაზე (**5**). 3. თბილისში მოქმედი ტოტალიზატორი (**3**). 4. ვიდეო-აუდიო პროდუქციის მწარმოებელი იაპონური ფირმა (**6**). 5. თბილისური წარმოშობის რუსეთში მოღვაწე რეჟისორი (**8**). 6. ინგლისელი მწერალი, არჩიბალდ ჯოზეფ... (**7**). 7. ტექნიკური დანიშნულების მინის ჭურჭელი (**4**). 8. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სა-ინფორმაციო ტელეგადაცემა (**2**). 9. სანათი საშუალება (**2**). 10. საკონდიტრო ნაწარმი (**4**). 11. XX ს ყველაზე ცნობილი პოლიტ. მოღვაწე ვენესუელისა, ორჯერ ქვეყნის პრეზიდენტი (**10**). 12. XVIII-XIX სს რუსი მწერალი და ისტორიკოსი (**8**). 13. გვარი ცნობილი ლატვიელი ბალეტის მოცეკვავეების, მამაშვილისა (**7**). 14. ხელსაქმის სახესხვაობა (**1**). 15. დებულება, რომელიც ლოგიკურ დამტკიცებას არ საჭიროებს (**4**). 16. შემოვლითი საგასტროლო მოგზაურობა (**5**). 17. კრიმინალური ელემენტის მიმართ განხორციელებული ერთ-ერთი ქმედება (**5**). 18. საზღვაო ხომალდის სახესხვაობა (**6**). 19. მოსახლეობის ერთ-ერთი კლასობრივი ფენის წარმომადგენელი (**1**). 20. ცნობილი თანამედროვე ამერიკელი კინორეჟისორი („ყბები“ და სხვა) (**6**). 21. ძირითადად რუსეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი („ციური მერცხლები“ და სხვა) (**6**). 22. შეჭმის პროცესამდე მიყვანილი საკვების სახესხვაობა (**1**). 23. ჯეკ ლონდონისეული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გმირის გვარი (**4**). 24. ქართული ყოფის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი (ორსიტყვიანი კომპოზიტი) (**2**). 25. აღმოსავლური ტოპონიმების შემადგენელი ნაწილი, დაახლოებით იგივეა, რაც „ბურგი“ ან „პოლი“ ევროპელთათვის (**7**). 26. თანამედროვე ქართველი კინორეჟისორი და სცენარისტი, ბატონი ირაკლი (**3**). 27. ფრანგ მეფეთა ერთ-ერთი უკანასკნელი დინასტია (**7**). 28. რა არის „ხუნტა“ თავისი არსით? (**4**). 29. თბილისის ჩრდ. მდებარე სოფელი, ცნობილი თავისი გემრიელი პამიდვრით (**6**). 30. უსულო სხეული (**2**). 31. აშშ-ს კოსმონავტიკაში ერთობ პოპულარული პერსონაჟი ძველბერძნული მითოლოგიისა (**5**). 32. ინგლისელი მწერალი, ავტორი რომანისა „სიგიჟე ერთი ღამისა“ და სხვა (**7**). 33. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი კაპიტანი ახლო წარსულში (**5**). 34. ფრიად და ფრიად გავრცელებული და ხშირი სნეულება (**2**). 35. სოფელი თელავის რაიონში (**5**). 36. რძეში მოხარშული ცომი (**3**). 37. ქართული ფეხბურთის (...და კინოს) წინაშე ვალმოხდილი ერთ მშვენიერი ქართული გვარი (**4**). 38. ერთობლიობა წესებისა, რომლებსაც მისდევენ მთავრობები, საგარეო საქმეთა უწყებები (**10**). 39. ნამდვილი გვარი იტალიელი პორნოვარსკვლავის, ჩიჩოლინასი (**9**). 40. სიშიშვლის დემონსტრირებასთან გარკვეულად წილნაყარი ქართული გაზეთი (**8**).

**01-30 ქულა** — შეუფასებელი
**31-70 ქულა** — მე-2 თანრიგი
**71-110 ქულა** — 1-ლი თანრიგი
**111-160 ქულა** — ოსტატი
**161-180 ქულა** — დიდოსტატი
**181-199 ქულა** — ბრავო, მაესტრო!
**200 ქულა** — გიწვევთ კროსვორდის შესადგენად!
(პასუხები — მე-17 გვერდზე)

იბეჭდება ხელმეორედ

## საქართველოს

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ნ | ი | კ | თ | ი | ი | ფ | ა | ნ | ი | ვ | შ |
| | | | ა | ხ | ო | ო | თ | ქ | ე | ა | ი | ლ | ი | ი |
| | | | ნ | წ | რ | კ | რ | ი | ძ | ხ | ძ | ნ | ა | ტ |
| ი | მ | უ | ძ | მ | რ | ი | ო | ნ | ა | მ | ე | ი | ტ | ე |
| ი | ლ | ხ | თ | ი | ნ | დ | ლ | ა | შ | ე | ტ | ი | ს | ტ |
| ნ | ე | ჩ | ე | ლ | ი | ა | მ | ა | ჩ | ა | ე | ლ | ო | ო |
| ა | ი | ხ | ლ | ე | ნ | ს | ა | ა | ა | ვ | ყ | ო | ბ | კ |
| ა | ნ | წ | ა | პ | ჯ | კ | ი | ღ | ბ | ლ | ო | რ | ო | გ |
| ჯ | ო | ი | ს | ა | ი | თ | მ | მ | ა | შ | ე | ნ | ე | ნ |
| რ | უ | გ | ა | ლ | ხ | ა | ო | ი | რ | ა | ბ | ი | ბ | ი |
| ვ | ა | ჭ | კ | ი | ა | ს | ტ | ს | ი | ლ | ე | კ | ე | ი |
| ჭ | კ | ა | ვ | ჯ | ა | ო | ხ | ა | ე | ი | ც | ი | ლ | ლ |
| ა | ვ | ა | ძ | ე | ვ | ა | ხ | ი | შ | ვ | ხ | ო | ვ | ე |

...თუ ყველა სიტყვას სწორად გადახაზავთ, ჩარჩოში დარჩება ექვსი გამოუყენებელი ასო, რომლებმაც საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი მხარის სახელი უნდა შეადგინონ

1. მთათა სისტემა, რომლის გარეშე საქართველოს გაცნობიერება წარმოუდგენელია... განსაკუთრებით უცხოელთათვის.

2. საქართველოს წყალგამყოფ ქედზე გამავალი უღელტეხილი.

3. დას. საქართველოს ერთი უმშვენიერესი მხარე, რომელიც, როგორც წესი მეორე უმშვენიერეს მხარესთან ერთად მოიხსენიება.

4. სახელი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალური რეგიონის მოსახსენებლად დამკვიდრდა ამ ბოლო ჟამს.

5. ადამიანი, რომელმაც ქართველებს რელიგიური ერთიანობის საფუძველი შეუქმნა.

6. ადამიანი, რომელმაც ქართველებს პოლიტიკური ერთიანობის საფუძველი შეუქმნა.

7. ადამიანი, რომელმაც ქართველებს სულიერი ერთიანობის საფუძველი შეუქმნა.

8. ადამიანი, რომელმაც ქართველებს მონოგრაფია „გიორგი მერჩულე“ შეუქმნა.

9. საგანგებოდ დამუშავებული ადგილის სახელი, რომელიც ძველ საქართველოში რამოდენიმე ქალაქის მოსახსენიებელ ტოპონიმში გამოიყენებოდა.

10. უმშვენიერესი სამეგრელოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი.

11. კომუნისტურ რეპრესიებს შეწირული დიდი ქართველი რეჟისორი, რომელმაც ქართველებს თუნდაც „ყაჩაღები“ შეუქმნა.

12. დიდი ქართველი ბუნებისმცოდნე-აკადემიკოსი, რომელმაც ქართველებს საქართველოს ბუნებაზე ჭეშმარიტი წარმოდგენა შეუქმნა.

13. პიროვნება, რომელმაც ქართველებს, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები შეუქმნა.

14. ერთი ჩვენი დიდებული ქალაქი, რომელმაც ქართველებს გიორგი მახარაშვილის ფენომენი შეუქმნა.

15. ხევსურეთის უმშვენიერესი და უმნიშვნელოვანესი სოფელი.

16. წყალსატევი, რომელიც გურიის და მთელი საქართველოს მშვენებად ითვლება.

17. რაჭა უმშვენიერესი ზღაპარია და მასში რეალური ზღაპარი არსებობს... რა?

18. პიროვნება, რომელმაც ქართველებს მათი სამშობლოს ისტორია შეუქმნა.

19. მწერალი, რომელმაც ქართველებს დიდებული იმერეთის ისტორიისა და ყოფის სურათები შეუქმნა.

20. კომუნისტურ რეპრესიებს შეწირული დიდი ქართველი ფოლკლორისტი და მუსიკათმცოდნე, რომლის ვინაობასაც ჩვენ უფრო მისი შვილის მოღვაწეობის გამოისობით ვიცნობთ.

77-ე საშუალო სკოლის 1973 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან, რომ 2001 წლის 14 მაისს დაიღუპა მათი თანაკლასელი **ბიჟი ტაბატაძე**.
ამ ამბავმა თავზარი დაგვცა ყველას, ვინც ამ დიდ პიროვნებას იცნობდა!

*ცნობისმოყვარეთათვის*

# საიდან გაჩნდა „პლეიბოი“?

ჰიუ ჰეფნერი - „პლეიბოის“ მამა-დამაარსებელი - კარგადაა ცნობილი მკითხველთა მთელ სამყაროში და თვით მათთვისაც, ვინც წერა-კითხვა არ იცის. ამიტომაცაა, რომ მას ხშირად „XX საუკუნის ყველაზე სკანდალურ ადამიანს“ უწოდებენ; მას, აგრეთვე, აქვს სხვა მეტსახელიც - „სექსუალური რევოლუციის გურუ“, თუმცა თავად ჰიუ ჰეფნერი საკუთარ თავს უბრალოდ მსოფლიოს საუკეთესო ჟურნალისტად თვლის.

მომავალი „სექსუალური გურუ“ და „მსოფლიოს საუკეთესო ჟურნალისტი“ 1926 წლის 9 აპრილს დაიბადა განგსტერებითა და ხოცვა-ჟლეტით განთქმულ ქალაქ ჩიკაგოში. მისი მშობლები ქრისტიან-მეთოდისტთა ჯგუფში იყვნენ გაწევრიანებულნი, ამიტომაც ჰიუ მარსტონ ჰეფნერი და მისი ძმა კეიტი აბსოლუტურ მორალურ და ფიზიკურ სიწმინდეში იზრდებოდნენ, რაც აგრერიგად დასაფასებელია ყველა პურიტანისათვის. ოჯახში მკაცრ აკრძალვათა მთელი სისტემა მოქმედებდა, რომელთაგან ძირითადი თამბაქოს წევის აკრძალვას, კინოში სიარულის და, რა თქმა უნდა, გოგონებთან შეხვედრის აკრძალვას შეეხებოდა. თუკი რამ იყო დასაშვები ქალთა სქესის მიმართ, უფროსი ჰეფნერების აზრით, ეს მხოლოდდამხოლოდ გვარის გაგრძელებისათვის უნდა მომხდარიყო. **მხოლოდდამხოლოდ!**

არადა, კარგადაა ცნობილი, რომ აკრძალული ხილი ყველაზე ტკბილია. კინოშიც დადიოდნენ ძმები და იმ მუნჯ ფილმებსაც უცქეროდნენ, რითაც მთელი ამერიკა იყო გადარეული; თუმცა სულ მალე ხმოვანი ფილმებიც გამოჩნდა, მალე ფილმებს ფერიც მიეცა, მალე უოლტ დისნეიმ სრულმეტრაჟიანი მულტფილმების გადაღება დაიწყო, იმ ფილმებისა, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ თავისი საოცარი მიმზიდველობა. ჰოდა, რომელი ყმაწვილი გაუძლებდა ყოველივე ამას ქრისტიანული მორალის აკრძალვების მიუხედავად?!

სულ პატარა ბიჭუნა ჰიუმ უკვე კარგად იცოდა მის ქალაქში მიმდინარე სისხლიანი ომი განგსტერებს შორის; მაშინ ყველას პირზე ეკერა ალ პაჩინოსა და ნიტოს თავგადასავლები, ყველას ყურს სწვდებოდა ბანკების მძარცველის დილინჯეროს საოცარი ამბები და ჰიუ ჰეფნერსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გასაყოლად ჩაეჭედა გონებაში ეს პერიპეტიები. თუმცა მიუხედავად „ჩიკაგოს ბოჰემაში“ ტრიალისა, თავად ჰეფნერისვე თქმით, მხოლოდ 1942 წელს, 16 წლის ასაკში შეიტყო მან ნამდვილი სხვაობა ქალსა და მამაკაცს შორის. ამის გაცნობიერაბამ თავდაყირა დააყენა მისი ცხოვრება. ამ მომენტიდან ქალებს უმთავრესი ადგილი მიეკუთვნათ ჰიუს ცხოვრებაში; ლამაზმანები ფულზე და ყველა სხვა ცდუნებაზე უსაშველოდ მეტ ინტერესს იწვევდნენ ახლადწამოჩიტულ დონ ჟუანში; ალბათ, მაშინ თავად ჰიუ ჰეფნერი გახდა **პირველი პლეიბოი!**

სკოლის დამთავრების შემდეგ ჰიუ საკუთარი სურვილით წავიდა ჯარში სამსახურისათვის, თუმცა, მისივე თქმით, იქ საინტერესო ვერაფერი ნახა. სამსახურის დასრულების შემდეგ კი მისი ცხოვრების მიზანი ნათლად გამოიკვეთა - ახალგაზრდა კაცმა ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩააბარა და წარმატებით დაამთავრა საბაკალავრო ეტაპი. დიახ, **ფილოსოფოსის ბაკალავრის** წოდება მიიღო მან!

ბუნებრივია, ქალებისადმი ინტერესმა ჰიუ ჰეფნერი საკმაოდ ადრეულ ქორწინებამდე მიიყვანა - 1949 წელს, 23 წლის ასაკში მან თავის თანაკურსელზე, მილდრედ უილიამსზე იქორწინა; მალე მათ ქალიშვილი კრისტინა და ვაჟი დევიდი შეეძინათ. ოჯახს გამოკვება სჭირდებოდა, ბავშვები იზრდებოდნენ და ოჯახის მამა იძულებული იყო გამუდმებით სამსახური ეძებნა. ამჯერად ფულმა ქალები უკანა პლანზე გადაწიეს და მის შოვნას ხმარდებოდა ჰეფნერის ყველა მცდელობა. ბევრი წანწალისა და ხელმოცარვის შემდეგ ჰიუ ჰეფნერმა, როგორც იქნა, იშოვა სამსახური ჟურნალ „ესკვაირში“.

ეს იყო საკმაოდ უცნაური შინაარსის მქონე გამოცემა, სადაც განთავსებული იყო მამაკაცის საცვლების რეკლამა, რომლის მკითხველამდე მისატანადაც იმ ეპოქის ცნობილი მწერლების ნაწარმოებები გამოიყენებოდა. ჰიუ თავდავიწყებით სწავლობდა ჟურნალისტის პროფესიას და ძალღონეს არ იშურებდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ყველაფერი კრახით დასრულდა. 1951 წლის საშობაო მზადებისას ჰეფნერს შესთავაზეს ჟურნალის ნიუ-იორკის ფილიალში გადასვლა და მან, ეგონა რა, რომ ამის უფლება უკვე გააჩნდა, ხელფასზე ხუთი დოლარის დამატება ითხოვა....

- შენ მოხსნილი ხარ სამსახურიდან - უპასუხა მას რედაქტორმა და „ესკვაირის“ კარი სამუდამოდ დაიხურა ჰიუ ჰეფნერისათვის.

...ჰიუ ჰეფნერის ზეასვლა **სრულიად მოულოდნელად** დაიწყო:

ერთხელ მას შიშველი მერილინ მონროს ბარათი ჩაუვარდა ხელთ; ეს ღია ბარათი სამხედრო უწყების მიერ იყო ტირაჟირებული და განკუთვნილი იყო იმ ჯარისკაცების სულისკვეთების ასამაღლებლად, რომლებიც კორეაში იბრძოდნენ. შიშველ, ჯერ არცთუ ცნობილ მერილინ მონროს რომ დასცქეროდა, ჰიუ ჰეფნერს მოეჩვენა, თითქოს ჰოლივუდელმა ლამაზმანმა მას **თვალი ჩაუკრა**... დიახ, ჰოლივუდის ახალი საოცრება თითქოს ეუბნებოდა მას, რომ დროა, კინოვარსკვლავის ტიტულებს შემატებოდა ტიტული ჟურნალის ვარსკვლავისა... იმ ჟურნალისა, რომელსაც იგი თავად შექმნიდა.

თუმცა ეს ყველაფერი ჯერ **ოცნება** იყო..

*დასასრული შემდეგ ნომერში*

# მალული



**თარაზულად:** 1. ჯეინ ეარის (დაბრმავებული) ქმრის გვარი. 6. აბრევიატურა, რომლის უკან მოსკოვის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი იმალება. 10. სალექსო ზომა. 11. ძაღლის ჯიში. 12. სიტყვა, რომელიც სასაუბრო მეტყველებაში ხშირად „ძვირფასეულობას“ ცვლის. 13. ცარიზმის ეპოქის ე,წ, „ძალოვანი სტრუქტურა“, რომლის აგენტობას რევოლუციონერ-არარევოლუციონერები სწამებდნენ ერთმანეთს. 14. ასე ვთქვათ „გამაძლიერებელი“ სანოტო ნიშანი. 15. (სინიორ) კალვინო, იტალიელი მწერალი-ნეორეალისტი. 16. ბუნებრივი სარტყელი, რომელიც მხოლოდ რუსეთსა და უნგრეთში გვხვდება. 17. იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ - რა ჰქვია ამ ქანდაკებას. 19. მდინარე იტალიაში. 20. ვაჟას „ბახტრიონის“ პერსონაჟი. 23. ჩილეს პრეზიდენტი 70-იან წლებში. 24. მათემატიკური ცნება. 27. საუბრის შემადგენელი ნაწილი. 28. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 29. ჩვენში გავრცელებული ვაზის ჯიში. 31. ჩვენი რელიგიის მთავარი სუბიექტის ერთ-ერთი ეპითეტი. 32. მხატვარი-გამფორმებელი ანუ ვინ? 33. შესანიღბი საშუალება. 37. XVIII ს დასასრულის ფრანგი პოეტი-პუბლიცისტი. 38. ომში დამარცხებულ მხარეზე დაკისრებული ფულადი გადასახადი. 40. იგივეა, რაც გულგრილობა. 41. საგანგებო კვლევისათვის გამოყენებული დაბალი წნევის კამერა



**შვეულად:** 1. ვინ „იმალება“ კროსვორდის უკან (სახელი და გვარი). 2. სუბიექტი, რომელთაგან „არცერთი“ არ უნდა ყოფილიყო ჩვენს გვერდით კომუნისტობისას. 3. წამახალისებელი რამ ანუ რა? 4. გარემოს დაცვისადმი მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა. 5. ქალაქი აშშ-ში. 6. ქალაქი ბულგარეთში. 7. ცხოვრების მშვიდობიანი დინების ამფორიაქებელი კრიმინალური ელემენტი. 8. ამერიკელი მწერალი, ავტორი რომანისა „მრისხანების მტევნები“. 9. ძალადობრივი ჩაგვრის სახესხვაობა. 18. იაპონური სალექსო ფორმა. 20. ქალაქი პოლონეთში. 21. XX ს უნგრელი კომპოზიტორი (სახელი და გვარი, შუალედის გარეშე). 22. ხმელთაშუა ზღვის კუნძული. 25. ცხოვრების მშვიდობიანი დინების ამფორიაქებელი შემოქმედებითი ელემენტი. 26. მევენახეობა-მეღვინეობის ქართული ღვთაება. 27. საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე მდებარე ისტორიული რეგიონი. 30. მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძირითადი მცხოვრები. 31. იტალიური „ელფერის“ მქონე სახელი ქალისა, ახლო წარსულში ჩვენთანაც გამოყენებული. 32. ცივი იარაღი. 34. ინფორმაციის გამავრცელებელი სუბიექტი. 35. გუცაევი-ყიფიანი-შენგელია. 36. (ბატონი) ქექია, დემნა შენგელაის ცნობილი რომანის მთავარი გმირი. 39. სააღდგომო ხე.






**თარაზულად:** **1**. სიბრძნის წყაროს მცველი გოლიათი სკანდინავიურ მითოლოგიაში. **4**. საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1-ლი მდივანი 1953-1972 წლებში. **8**. ავსტრალიერი საგაზეთო და ტელემაგნატი, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია მსოფლიოში. **14**. ქრისტიანი ღვთისმეტყველი და მწერალი, რომელსაც მიაწერენ ცნობილ გამოთქმას: „მწამს, რადგან აბსურდია" - კვინტუს სეპტიმუს ფლორენს... (160-220). **15**. ქართველი სპორტული ჟურნალისტი და კომენტატორი. **16**. ჩქარტემპიანი პატარა მუსიკალური ნაწარმოები. **19**. აქ იმ რუსის გვარი ჩაწერეთ, რომელიც მოუწოდებდა ადამიანებს რომ „ჰყვარებოდათ ხელოვნება საკუთარ თავში და არა საკუთარი თავი ხელოვნებაში". **20**. ბურიატიის დედაქალაქი, რომელიც გვევლინება ციმბირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად. **21**. ***იხილეთ ფოტო №6***. **24**. იტალიის კომინისტური პარტიის გაზეთი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცემაა დღევანდელ იტალიაში. **25**. სასწავლო დაწესებულება. **26**. სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის და წყნარი ოკეანის კუნძულებზე გავრცელებულ წიწვოვან მცენარეთა გვარი. **31**. ქალაქი გერმანიაში, რომლის წარმომადგენლებიც სულ ახლახანს ესტუმრნენ თბილისს თბილისელთა დიდი დღესასწაულის იუბილეზე. **32**. რა ჰქვია პოლონელ კინორეჟისორს, გვარად ვაიდას? **33**.საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი. **34**. XIX საუკუნეში მოღვაწე გერმანელი მწერალი, რომელმაც კაცობრიობას თავი საკუთარი ზღაპრებით დაამახსოვრა. **39**. ამ ჩიტს ინგლისურად **Starling** ჰქვია... აქ მისი ქართული სახელწოდება ჩაწერეთ. **40**. ერთ-ერთი წვრილი სასიმღერო ხმა. **41**. უილიამ შექსპირისეული „რომეო და ჯულიეტას" მთავარი პერსონაჟი. **42**.სიმებიანი მუსიკალური საკრავი. **47**. ჩვენებური წარმოების სამკურნალო საშუალება. **48**. ფრანგი ფიზიკოსი, რომლის სახელიც დაენათლა მბრუნავ სისტემაში მოძრავ სხეულზე მოქმედ ძალას, გუსტავ გასპარ... (1792-1843). **49**. გერმანელი კომპოზიტორი, იოჰანეს... (1833-1897). **52**. მოქმედი ვულკანი კუნძულ სიცილიაზე. **53**. ფრანგი ქიმიკოსის, ლუი ნიკოლა ვოკელინის მიერ 1797 წელს აღმოჩენილი ქიმიური ელემენტი, რომელსაც სახელწოდება ერთმა მინერალმა მისცა. **54**. მადრიდის სიახლოვეს მდებარე სასახლე-მონასტერი, რომელიც ფილიპე მეორეს შემდეგ ესპანეთის მონარქთა რეზიდენცია იყო წლების განმავლობაში. **58**. ***იხილეთ ფოტო №5***. **59**. დადებითად დამუხტული ელექტროდი. **60**. ერთ-ერთი სახელმწიფო მნიშვნელობის ატრიბუტი, რაც ყველაზე გრძელი მთელ მსოფლიოში საბერძნეთს აქვს. **65**. აქ ვენეციის ყველაზე ცნობილი ხიდის სახელწოდება ჩაწერეთ. **66**. თურქეთის პრეზიდენტი 1989-1993 წლებში, თურგუთ... **67**. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა. **68**. რა ჰქვია ესმერალდას თხას „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში"? **72**. საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული. **73**. ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელი, რომელიც აღიარებდა ქრისტეს ორ ბუნებას - ადამიანურს და ღვთიურს. **74**. ერთ-ერთი ქართველი მწერალთაგანი, რომელიც წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე. **78**. სახელმწფო სამხრეთ ამერიკაში. **79**. იტალიური კინოს მიქელანჯელო, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. **80**. ავტომატური პისტოლეტის და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის შემქმნელი ამერიკელი კონსტრუქტორი. **84**. კახეთის მეფე ირანის-ოსმალეთის შორის ამასიაში დადებული ისტორიული ზავის დროს. **85**. რა ერქვა პოლ მაკარტნის აწგარდაცვლილ მეუღლეს? **86**. განცალკევებული საკანი. **87**. ბერძნული ანბანის პირველი ასო. **91**. ქალაქი ესპანეთში, რომლის მახლობლადაც დახვრიტეს ფედერიკო გარსია ლორკა. **92**. რელიგიური დაჯგუფება. **93**. უმარტივესი არსება. **98**. ესპანელი ფერმწერი, ფრანსისკო ხოსე დე... (1746-1828). **99**. ახლო წარსულში მოასპარეზე ტიტულოვანი გერმანელი ფეხბურთელი. **100**. ის, რაც აქვთ საერთო პერსონალურ კომპიუტერს და როიალს. **103**. ***იხილეთ ფოტო №2***. **104**. ყველაფრის ხელაღებით უარყოფა, ანუ რა? **105**. მეჩეთში მლოცველთა ხელმძღვანელი საერთო ლოცვის დროს. **110**. კარელ ჩაპეკის მიერ მოგონილი სიტყვა. **111**. რეჟისორი ფილმებისა „ერთხელ ამერიკაში" და „კარგი, ცუდი, ბოროტი". **112**. უფერო და უსუნო აირი მენდელეევის ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემიდან. **113**. მცენარე,რომელიც უმთავრესად ირანის ტერიტორიაზე ხარობს და რომლის ერთ-ერთ სახეობასაც საქართველოში საკმლის ანუ კევის ხეს უწოდებენ. **117**. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. **118**. „დაუშვი!" - პორტის მტვირთავების ჟარგონზე. **119**. ოტორინოლარინგოლოგიის განხრა, რომელიც შეისწავლის ყურის დაავადებებს და მათს მკურნალობას. **123**. წიგნის დასადები ადგილი. **124**. ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ უფლებათა გარკვეული შეზღუდვა მეორე სახელმიწფოს სასარგებლოდ. **125**. პერსონაჟი ფილმისა „რაც გინახავს, ველარ ნახავ". **129**. რა ჰქვია ინდუიზმში ღმერთ ვიშნუს განსახიერებას კრიშნას ან რამას სახით? **130**. ორმილიანი ოპტიკური ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება შორს მყოფი საგნების უკეთ გასარჩევად. **131**. ავსტრიელი კომპოზიტორი, რომლის მუსიკაც ლეიტმოტივად გასდევს სტენლი კუბრიკის ფანტასტიკურ ფილმს „კოსმოსური ოდისეა - 2001". **136**. მთის მიხვეულ-მოხვეული გზა. **137**. ჟუკოვი, იაზოვი, იაკუბოვსკი, შაპოშნიკოვი, ჩუიკოვი, კულიკი, გრეჩკო... ვინ იყო თითოეული მათგანი? **138**. აკაკი წერეთლის ლექსი. **139**. უშფოთველი და უზრუნველი ყოფა. **140**. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ოპერა. **141**. ფეთქებადი ნივთიერება.

**შვეულად:** **1**. სტენდალს აქვს სამ თავის თანამედროვეზე დაწერილი ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები: „მოცარტი, ჰაიდნი და ... (ვინ?)". **2**. მოსკოვის „სპარტაკში" მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელი. **3**. რეუნიონი. **5**. ქალაქი, რომლის პაპსაც ეძახოდნენ ჟან კალვინს. **6**. ცხენის „ფეხსაცმელი". **7**. კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების" პერსონაჟი. **9**. მარადმწვანე მორჩილი ხე, რომელსაც ასე უწოდებენ - **Rhododendron caucasium**. **10**. მეფე ლირის ერთ-ერთი ქალიშვილთაგანი. **11**. საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის მაცნე მოკლე ოფიციალური ცნობა. **12**. როგორი შეიძლება იყოს მზეთუნახავი ზღაპრებში? **13**. ბულგარეთის დედაქალაქი. **17**. ბაში-აჩუკის ლიტერატურული მამა. **18**. რა ჰქვია მეორენაირად ჭაობისპირა კლდეებზე მობინადრე ფრინველს, მარაბუს? **22**. კითხულობთ „მაიმუნების პლანეტას"? - ჰოდა, თუ კითხულობთ, მისი მთავარი პერსონაჟის სახელიც გეცოდინებათ. **23**. რაიმეთი სიამოვნების მიღება ჟარგონზე. **27**. აზიის ერთ-ერთი უდიდესი ნახევარკუნძული. **28**. ჟორჟ სიმენონის მიერ შემქნილი ლიტერატურული კომისარი. **29**. იგივეა, რაც მღვდელმთავარი. **30**. სესილია თაყაიშვილის პერსონაჟი „ნატვრის ხეში". **35**. ფრანგი მწერალი მამა-შვილის გვარი გაიხსენეთ. **36**. რა ჰქვია უილიამ შექსპირისეულ ვენეციელ ვაჭარს? **37**. კუნძული ეგეოსის ზღვაში. **38**. რუსი სიმაღლეზე მხტომელი, ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალის მფლობელი. **43**. ჰიტლერის სამხედრო წოდება. **44**. ჩილეს პრეზიდენტი 1970-1973 წლებში. **45**. ამერიკელი პოეტი, თავისუფალი ლექსის ნოვატორი. **46**. 80-იან წლებში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი. **50**. რაიმე დაავადებით გამოწვეული კანის ლურჯი შეფერილობა. **51**. უნგრეთის ფულის ერთეული. **55**. საგნის მოხაზულობა. **56**. იტალიის საფეხბურთო კლუბი. **57**. მთვარიდან ყველაზე ახლომდებარე წერტილი დედამიწამდე. **61**. ***იხილეთ ფოტო №1***. **62**. ათენელი სტრატეგი პელოპონესის ომის დროს, პლუტარქეს პარალელური ბიოგრაფიების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი. **63**. თანამედროვე ბოსნიელი კინორეჟისორი, შემქმნელი ფილმებისა „ბოშათა ჟამი", „მიწისქვეშეთი" და ა.შ. **64**. მსუბუქი ავტომობილი უკანა ნაწილი. **69**. გვარი კაცისა, რომელიც იყო ვინი პუჰის, იო-იოს და კრისტოფერ რობინის მამა (ზოგის ლიტერატურული, ზოგის კიდევ ფიზიკური). **70**. კარგი ღირსების მქონე მაგარმექრნიანი საშუალო სიმაღლის ხე. **71**. ონისეს სატრფო ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში. **75**. რეჟისორი ფილმებისა „ყბები", „დუელი" და „იურული პერიოდის პარკი". **76**. შვედი ქიმიკოსის, კარლ ვილჰელმ შეელეს მიერ 1778 წელს აღმოჩენილი ქიმიური ელემენტი. **77**. ლომების მომთვინიერებელი სახელგანთქმული რუსი ქალი, ირინა... **81**. **Ива** - ტირიფი, **Плакучая ива**- ძეწნა, **Ракита** - (.......რა?). **82**. ***იხილეთ ფოტო №4***. **83**. თითოეული იმ შვიდთაგან, რომლებიც აკირა კუროსავას ფილმის სათაურში ფიგურირებენ. **88**. უფერული ან მოყვითალო ზეთოვანი სითხე. **89**. (გავიხსენოთ განვლილი სერიალები) რა ერქვა მონა იზაურას მტანჯველ კაცს? **90**. ებრაელთა მამამთავარი ბიბლიის მიხედვით. **94**. ადამიანის ერთ-ერთი მანკიერი თვისება. **95**. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში. **96**. უძველესი გერმანული ტომის წარმომადგენელი. **97**. რა ერქვა მამასახლისს მეფისდროინდელ რუსეთში ბატონყმობის გაუქმებამდე? **101**. მიწისძვრათა 12-ბალიანი სკალის შემქმნელი ამერიკელი სეისმოლოგი. **102**. გვარი მსახიობისა, რომელმაც ფართო საზოგადოებას გააცნო შოტლანდიელთა ეროვნული გმირის, უილიამ უოლესის პიროვნება. **106**. ურარტუს უძლეველი მეფე ძველი წელთაღრიცხვის 786-764 წლებში. **107**. რუსი ავიაკონსტრუქტორი. **108**. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. **109**. გვარი აწგარდაცვლილი არბიტრისა, რომელმაც დიუსელდორფში 1981 წლის 13 მაისის ლეგენდარული მატჩი იმსაჯა. **114**. წვრილად დაჭრილი და ერთმანეთში არეული სხვადასხვა ბოსტნეულისაგან დამზადებული საჭმელი. **115**. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმებში „ჯინჯერი და ფრედი", „რვანახევარი"„მზესუმზირები" და ა.შ. **116**. სატირული ან იუმორისტული ხასიათის ნახატი. **120**. ავსტრალიური წარმოშობის მწერალი ქალი, ავტორი „მერი პოპინსისა" (ეს კითხვა კარგად იციან საკროსვორდო ჩემპიონატში მონაწილე მკითხველებმა). **121**. წვრილად დაჭრილი რძეში მოხარშული ცომის ნაჭერი. **122**. ***იხილეთ ფოტო №3***. **126**. რა აქვს ბროწეულს გარეთ ერთი გამოცანის თანახმად? **127**. სურათის პირი, რომელიც რელიეფურადაა გამოყვანილი ლითონის ფირფიტაზე. **128**. აქ ის ჩაწერეთ, რასაც მივიღებთ შოკოლადის, ნაყინის და ჯოხის შეერთებით. **132**. მეორე პირი. **133**. მდინარე ინდოეთსა და პაკისტანში. **134**. თანამედროვე რუმინელი ფეხბურთელი. **135**. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, აწ უკვე ექსკანცლერი.

**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**





1



2



3



4



5



6

## საკროსვორდო ენციკლოპედია

**ბელიზი** - ქალაქი ბელიზში, კარიბის ზღვის ნავსადგური.
**ბელინდა** - პლანეტა ურანოსის თანამგზავრი
**ბელინი** ვინჩენცო - XIX ს იტალ. კომპოზიტორი.
**ბელინი** ჯაკოპო - აღორძინ. ეპოქის იტალ. მხატვარი.
**ბელინსგაუზენი** ფადეი - XIX ს რუსი ზღვაოსანი.
**ბელინსკი** ბესარიონ - XIX ს რუსი ლიტ. კრიტიკოსი, ფილოსოფოსი.
**ბელინსკი** - ქალაქი რუსეთის პენზის ოლქში.
**ბელიო** ანდრეს - XIX ს ვენესუელელი პოეტი, სწავლული.
**ბელიოვი** - ქალაქი რუსეთის ტულის ოლქში.
**ბელიტუნგი** - კუნძული მალაის არქიპელაგში.
**ბელკანტო** - XVII ს იტალიაში ჩამოყალიბებული ვოკალურ-საშემსრულებლო სტილი.
**ბელმანი** კარლ მიკაელ - XVIII ს შვედი პოეტი.
**ბელმონდო** ჟან-პოლ - ფრანგი კინომსახიობი.
**ბელმოპანი** - ბელიზის დედაქალაქი.
**ბელო** რემი - XVI ს ფრანგი პოეტი.
**ბელობოროდოვი** აფანასე - არმიის გენერალი, სსრკ ორგზის გმირი.
**ბელოგორსკი** - ქალაქი რუსეთის ამურის ოლქში.
**ბელოე** - ტბა რუსეთის ვოლოგდის ოლქში.
**ბელოვეჟის** ტევრი - ტყის დიდი მასივი ბელორუს-პოლონეთის საზღვარზე, ნაკრძალი.
**ბელოვა** ელენა - ბელორუსი მოფარიკავე ქალი, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი.
**ბელოვი** ვასილი - XX ს რუსი მწერალი.
**ბელოვი** სერგეი - რუსი კალათბურთელი, მოსკოვის 1980 წ ოლიმპიადის ცეცხლის ამნთები.
**ბელოვო** - ქალაქი რუსეთის კემეროვოს ოლქში.
**ბელოგლაზოვები** ანატოლი და სერგეი - რუსი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ძმები, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები.
**ბელოზერსკი** ანდრია - რუსი ბიოქიმიკოსი, აკადემიკოსი.
**ბელოზიორსკოე** - ქალაქი უკრაინის დონეცკის ოლქში.
**ბელოთი** - სოფელი ცხინვალის რ
**ბელოიანისი** ნიკოს - საბერძნეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწე.
**ბელოკამენსკი** - ქალაქი უკრაინის ყირიმის ოლქში.
**ბელოკი** ჰილარი - XIX-XX სს ინგლისელი მწერალი.
**ბელოკიო** მარკო - იტალიელი კინორეჟისორი
**ბელოკურიხა** - ქალაქი რუსეთის ალტაის მხარეში.
**ბელომორსკი** - ქალაქი რუსეთის კარელიის ოლქში.
**ბელონა** - რომაულ მითოლოგიაში ომის ღმერთი.
**ბელონი** პიერ - XVI ს ფრანგი ნატურალისტი.
**ბელოოზერო** - ძვ. რუსული ქალაქი ტბა ბელოე ოზეროს ნაპირზე.
**ბელოპოლიე** - ქალაქი უკრაინის სუმის ოლქში.
**ბელოპოლსკი** არისტარხ - საბჭოთა ასტრონომი, აკადემიკოსი.
**ბელორეჩენსკი** - ქალაქი რუსეთის კრასნოდარის მხარეში.
**ბელორეცკი** - ქალაქი რუსეთის ბაშკირეთის რესპუბლიკაში.
**ბელორუსია** - ევროპის სახელმწიფო.
**ბელოსტოკი** - ქალაქი პოლონეთის ჩრდ.-აღმ. ნაწილში.
**ბელოტო** ბერნარდო - XVIII ს იტალიელი ფერმწერი.
**ბელოუ** სოლ - XX ს ამერიკელი მწერალი.
**ბელოუზი** ჯორჯ XIX-XX სს ამერიკელი მხატვარი.
**ბელოუსოვა** ლუდმილა - რუსი სპორტსმენი, ფიგურული სრიალი, მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი.
**ბელოხვოსტიკოვა** ნატალია - რუსი მსახიობი ქალი.
**ბელოხი** კარლ იულიუს - XIX-XX სს გერმ. ისტორიკოსი. ანტიკური ეპოქის სპეციალისტი.
**ბელსკი** ბოგდან - XVII ს რუსეთის პოლიტ. მოღვაწე.
**ბელსკო-ბიალა** - ქალაქი პოლონეთის სამხრ. ნაწილში.
**ბელსუ** მანუელ ისიდორო - XIX ს ბოლივიის სახელმწ. და სამხედ. მოღვაწე.
**ბელტი** - მიწის მონაკვეთი. (გეოლ.) ნაოჭი მთათა სისტემის შიგნით მოქცეული.
**ბელტინგი** - მძიმე, ძალიან მჭიდრო და გამძლე ქსოვილი.
**ბელტიყლაპია** - ქართული ზღაპრების პერსონაჟი.
**ბელტრამი** ეუჯენიო - XIX ს იტალიელი მათემატიკოსი.
**ბელუ-ორიზონტი** - ქალაქი ბრაზილიის სამხრ.-აღმ. ნაწილში.
**ბელუში** ჯეიმზ - ამერიკელი კინომსახიობი.
**ბელუხა** - უმაღლესი მთა ალთაიში.
**ბელუჯისტანი** - მხარე აზიაში ირანის სამხრ.-აღმ. ნაწილში.
**ბელფასტი** - ქალაქი-საგრაფო დიდი ბრიტანეთის ჩრდ. ირლანდიაში.
**ბელფორი** - ქალაქი საფრანგეთის აღმ. ნაწილში.
**ბელღარი** - 1. ხევზე გადებული ღარი წყლის გადასაყვანად. 2. წისქვილის ღარი.
**ბელშევიცა** ვიზმა - ლატვიელი პოეტი ქალი.
**ბელცი** - ქალაქი მოლდოვაში.
**ბემბა** - ზამბია-ზაირის სასაზღვრო რაიონებში მცხ. ხალხი.
**ბემბი** - უოლტ დისნეის მულტფილმი.
**ბემბო** პიეტრო - XV-XVI სს იტალიელი მწერალი.
**ბემე** იაკობ - XVII ს თვითნასწავლი გერმანელი ფილოსოფოსი.
**ბემელენი** რეინაუტ ვილემ ვან - XX ს ჰოლანდიელი გეოლოგი.
**ბემი** იუზეფ ზახარიაშ - XIX ს პოლონეთის პოლიტ. და სამხ. მოღვაწე.
**ბემი** კარლ - XIX ს ავსტრიელი კომპოზიტორი.
**ბემისი** სემიუელ ფლეგ - XX ს ამერიკელი ისტორიკოსი.
**ბემოლი** - სანოტო ნიშანი.
**ბენევენტე ი მარტინესი** - ესპანელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
**ბენავიდესი** მანუელ დომინგეს - XX ს ესპანელი მწერალი.
**ბენ ალი** ზინ ალ-აბიდინი - ტუნისის პრეზიდენტი 1987 წლიდან.
**ბენარა** - სოფელი ადიგენის რ
**ბენარათერიუმი** - გიგანტური ურქო მარტორქების გვარი.
**ბენარესი** - ინდოეთის ქალაქ ვარანასის მეორე სახელი.
**ბენაშვილი** დიმიტრი - XX ს კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე.
**ბენგაზი** - ქალაქი-პორტი ლიბიაში.
**ბენგალია** - ისტ. ოლქი ინდოეთში.
**ბენგალურუ** - ქალაქი სამხრ. ინდოეთში.
**ბენგელა** - ქალაქი ანგოლაში.
**ბენ-გურიონი** დავით - ისრაელის სახელმწ. მოღვაწე.
**ბენდა** ირჟი - XVIII ს ჩეხი კომპოზიტორი.
**ბენდარი** - განჯის 1231 წ სახალხო აჯანყების წინამძღოლი.
**ბენდელიანი** ჭიჭიკო - სსრკ გმირი, მფრინავი.
**ბენდერ-აბასი** - ქალაქი სამხრ. ირანში.
**ბენდერი** ოსტაპ - ილფისა და პეტროვის რომანების პერსონაჟი
**ბენდერი** - ქალაქი მოლდოვაში.
**ბენდერი** - სოფელი ცხინვალის რ
**ბენდიგო** ქალაქი სამხ. ავსტრალიაში.
**ბენდიდა** - მთვარის ღვთაება ფრიგიულ მითოლოგიაში.
**ბენედენი** ედუარდ ვან - XIX ს ბელგიელი ბიოლოგი.
**ბენედეტი** მარიო - XX ს ურუგვაელი მწერალი.
**ბენედიქტე** - რომის პაპების გავრცელებული სახელი.
**ბენედიქტელები** - უძვ. კათოლ. მონაზვნური ორდენი.
**ბენედიქტინი** - ერთგვარი ლიქიორი, ამზადებდნენ ბენედიქტელი ბერები საფრანგეთში.
**ბენედიქტოვი** ვლადიმირ - XIX ს რუსი პოეტი.
**ბენევენტო** - საჰერცოგო და სამთავრო შუა სს იტალიის ტერიტორიაზე.
**ბენეტი** არნოლდ - XIX-XX სს ინგლისელი მწერალი.
**ბენეტი** ხუან - XX ს ესპანელი მწერალი.
**ბენეტიტისნაირნი** - ნამრხი ხისებრი შიშველთესლოვანი მცენარეების რიგი.
**ბენეტნაში** - მეორე ვარსკვლავიერი სიდიდის ვარსკვლავი დიდი დათვის თანავარსკვლავედში.
**ბენეტონი** - ინგლისურ-

*1408, სულ - 5732*

## პატარა ამბები დიდი სამყაროდან



***მარშალის არქიპელაგის შემადგენელ ატოლ ბიკინიზე ჩამოგდებულ საცდელ ნეიტრონულ ბომბს, იმდროინდელი ჰოლივუდელი ლამაზმანის, რიტა ჰეიუორტის სურათი ამშვენებდა.

***თბილისში შეიძლება შეხვდეთ კაფეებს „მოცარტი“ და „ამადეუსი“, ნეტავი მავანნი ჩვენს დედაქალაქში, კაფე „ვოლფგანგის“ გახსნას თუ აპირებენ?

***ძველ ჩინეთში ვინმეს დაკრძალვის დროს, მას შემდეგ რაც მიცვალებულის სასახლეს მიწაში ჩაუშვებდნენ, თითოეული ჭირისუფალი რამოდენიმე ნაბიჯს დგამდა უკან, რათა მათი ჩრდილი არ მოხვედროდა კუბოს.

***გემს, რითაც პირველმა ევროპელმა კოლონისტებმა ჩრდ. ამერიკის ტერიტორიაზე ჩააღწიეს, „მაუფლაუერი“ ერქვა.

***ჩვენს წელთაღრიცხვამდე 400 წელს, ძველი ბერძნული ქალაქი-სახელმწიფოს, სპარტას მოსახლეობა საკუთარი ზეობის დროს 25 000 მოქალაქისაგან და 500 000 მონისაგან შედგებოდა.

***ინგლისელი ბეატრიქს პოტერი დასავლეთ სამყაროში საკმაოდ აღიარებული საბავშვო მწერალი ქალია.

***XIX საუკუნის განმავლობაში ტიბეტის დედაქალაქ ლჰასაში, რომლის სახელწოდება სიტყვასიტყვით „ღმერთების სამყოფელს“ ნიშნავს, არ უშვებენ უცხოელებს. 1904 წლის შემდეგ კი ლჰასაში არცერთ ევროპელს არ დაუდგამს ფეხი.

***პირველი მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის არმიაში ჰომოსქესუალობა გადასახლებით ისჯებოდა.

***ჯგუფ „სახე“-ს ყოფილ წევრს, დათო ხუჯაძეს, მისსავე სიტყვებს თუ ვენდობით, ცხოვრებაში არ უჭამია პომიდორი.

***ყველაზე პატარა ომი მთელი მსოფლიო ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა 38 წუთის განმავლობაში დიდ ბრიტანეთსა და ზანზიბარს შორის 1896 წელს.

***ახალ ზელანდია არის პირველი ქვეყანა, სადაც ქალებს მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება... ეს 1893 წელს მოხდა.

***მარია სტიუარტი 6 დღის იყო, შოტლანდიის დედოფალი რომ გახდა.

***1666 წელს ლონდონი ხანძარმა თითქმის მთლიანად გადაწვა.

***ვიქტორიანული ხანის ინგლისში ფოსტალიონებს ხალხი გულწითელას ეძახდა (გულწითელა – ჩიტია ასეთი) მათი წითელი სამოსის გამო. სწორედ ამიტომ, დღესდღეობით, დიდ ბრიტანეთში საშობაო მისალოც ბარათებს ნისკარტში წერილგარჭობილი გულწითელა ახატიათ.

***წითელი მარჯანი ძველ საბერძნეთში უკვდავების სიმბოლო იყო.

***XV საუკუნის დასაწყისში ჩინელმა სწავლულებმა შეადგინეს იმ დროისათვის უდიდესი ენციკლოპედია, რომელიც 11 095 ტომს შეიცავდა.

***ნავაჯოს ტომის ინდიელთა ენას II მსოფლიო ომის დროს ამერიკელები იყენებდნენ როგორც კოდურ ენას.

***ხე სეკვოიას სახელი ჩეროკის ტომის ინდიელთა ბელადის, სეკვოიას საპატივცემლოდ დაერქვა. ასე გამოხატეს მადლიერება ჩეროკის ტომის ინდიელებმა ადამიანის მიმართ, რომელმაც მათ ანბანი შეუქმნა.

***სეკვოიას კი მამონტის ხესაც უწოდებენ.

***აშშ-ს მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამსი და მესამე პრეზიდენტი – თომას ჯეფერსონი ერთ დღეს, 1826 წლის 4 ივლისს, გარდაიცვალნენ სხვადასხვა ქალაქებში. როგორც ამბობენ, ჯონ ადამსის უკანასკნელი სიტყვები ყოფილა – „ჯეფერსონი ჯერ კიდევ ცოცხალია!“



***ბეჰემოთის ხორცი იჭმევა, მისი ტყავისაგან კი სუპს ხარშავენ ტანზანიელები.





**თარაზულად**: 10. ნორვეგიელი მოგზაური, რომელმაც 1912 წლის 14 დეკემბერს პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს. 11. საჭადრაკო „ოსკარის“ მფლობელი უნგრელი დების გვარი. 12. რემბრანტის ალბათ ყველაზე ცნობილი ნახატი. 15 ქვა ან ნიჟარა, რაზედაც რელიეფურადაა ამოკვეთილი ჩუქურთმა. 16. ჩილეს პრეზიდენტი 1970-73 წწ., მოკლულ იქნა პინოჩეტის მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალების დროს. 17. მიხეილ ცაგარელი თავისი არსით. 20. სიტყვა, რომლითაც ქართველები დიდ პოეტს მოვიხსენიებთ. 21. ჯგუფ „aerosmith“-ის სოლისტი, რომლის ქალიშვილმაც ფილმ „არმაგედონის“ შემდეგ თავისი სილამაზით მთელი მსოფლიო დაიპყრო. 22. „ვეფხისტყაოსანი“ თავისი არსით. 26. ჩვენს გაზეთში ეს სიტყვა აფორიზმთან ასოცირდება. 27. სომხები ამ მთას „მასის“-ს ეძახიან, ხოლო თურქები „აგრიდაღ“-ს. 28. ტაილანდური წარმოშობის მქონე თანამედროვე ინგლისელი მევიოლინე ქალი. 32. ყველაზე მოკლე სახელის მქონე ანტილოპა. 33. ზონარზე ჩამოკიდებული თეატრალური თოჯინა. 34. ლაიმა ვაიკულესა და ვალერი ლეონტიევის ქმნილება. 37. რა პროფესიისაა პიერი ქართულ კინემატოგრაფიაში? 38. სქესობრივი კავშირი ახლო ნათესავებს შორის. 39. ის, რისი სისხლითაც შეიღება მოსეს დავალებით ეგვიპტეში ყველა ებრაელის სახლი, რამაც შემდგომში საფუძველი დაუდო პასექის დღესასწაულს. 42. ქათმისებრთა ოჯახის კაკბის მსგავსი ფრინველი. 43. ვინ იყო თითოეული ქორიძე თითოეული შევარდნაძისთვის ერთი მეტად პოპულარული მულტფილმის თანახმად? 44. ამა თუ იმ გამაგრებულ პუნქტში განლაგებული სამხედრო ნაწილები. 48. მშრალი წვნიანების დამამზადებელი მსოფლიოში ცნობილი ფირმა. 49. დინჯი და ზომიერი ტემპის მქონე მუსიკალური პიესა. 50. ქართულ ცნობიერებაში „ღვთის კაცად“ ცნობილი სუბიექტი. 54. „თოვლის დედოფლის“ პერსონაჟი ბიჭუნა. 55. წონასწორობის მდგომარეობიდან მაქსიმალური გადახრა. 56. რა შეიქმნეს ებრაელებმა იმ დროს, როცა მოსე სინას მთაზე ღმერთს ესაუბრებოდა. 57. მოტოკატასტროფაში გარდაცვლილი კორეული წარმოშობის რუსული როკის ლეგენდა. 61. ნახშირმჟავა მარილი. 62. ფიზიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს წონასწორობის მდგომარეობაში მყოფ სხეულებს. 63. გერმანიის ტერიტორიაზე მდებარე ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი. 66. ყურის ანთება. 67. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლითაც მულტფილმებში ანგელოზებს გამოხატავენ. 68. ლუთერანიც, ანგლიკანიცა და კალვინისტიც.

**შვეულად**: 1. რომელიმე სახელმწიფოში საქონლის შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა. 2. ყველა დროისა და ერის უდიდესი მეზღაპრე. 3. თავისუფალი ფორმის ნარკვევი, რომელშიც განხილულია ლიტერატურული, ფილოსოფიური თუ სხვა პრობლემები. 4. ასეთი გონებაც არსებობს. 5. ვენეციური ნავი. 6. „მე“ - ლათინურად. 7. მასობრივი სპორტული სირბილი. 8. ამსტერდამის „აიაქსის“ ბერძენი თავდამსხმელი, შოთა არველაძის მეწყვილე. 9. ჩემოდანთა ერთობლიობა. 13. ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ყელსაკიდი პატარა კოლოფი. 14. იტალიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი ფეხბურთში? 18. წარმოთქმის მანერა, რომელშიც მთქმელი თავის გრძნობებს გამოხატავს. 19. კარლ მარქსის მშობლიური ქალაქი. 23. მრავალი ენის მცოდნე პირი. 24. ქვეყანა, რომელმაც სახელწოდება ვერცხლისგან მიიღო. 25. ამ სიტყვით მოიხსენიებდნენ მეფის რუსეთის იმპერიას, ხოლო უკრაინულ ენაში ის ამჟამად „ქვეყანას“ აღნიშნავს. 29. ჟორჟ სანდის რომანიცა და აშშ-ს შტატიც. 30. მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში. 31. ფსევდონიმის ერთ-ერთი სახე, ავტორის სახელის აღნიშვნა რაიმე სასტამბო ნიშნით, მაგ. ჯვრით, ვარსკვლავით. 35. დაბალი წნევის არე. 36. ადამიანი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქმის გარეგნულ მხარეს, წვრილმანებს, განუხრელად იცავს ფორმალურ წესებს და ამასვე მოითხოვს სხვებისგან. 40. ძვირფასი საშენი მასალა, კრისტალური ქანი. 41. რა არის დეიტერიუმი ჩვეულებრივი წყალბადისთვის? 45. აშშ-ს 33-ე პრეზიდენტი 1945-53 წწ. 46. დეპუტატთა პირადობის დამადასტურებელი საბუთი. 47. თითოეული იმ ბერძენ მოგზაურებს შორის, რომლებმაც ძველი კოლხეთი მოინახულეს. 51. ზედმეტი ტვირთი. 52. ოქროზე ძვირი კეთილშობილი ლითონი. 53. ფიზიკური ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც აპირებდა არქიმედე დედამიწის გადატრიალებას ცნობილი რეპლიკის მიხედვით. 58. კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი. 59. სულელი, ცალტვინა, ანუ? 60. ბაჰამის კუნძულების დედაქალაქი. 64. შვედეთის წვრილი ფული. 65. ვინაა ვალერი გაზაევი ეროვნებით?




**შეადგინა გოგა ტარიელაშვილმა**

# სამშაბათის გამოშვებაში, 22 მაისს

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |



სახასიათო პირი / დისპლეი
თამბაქოშია
ეგვიპტეშიც და გეომეტრიაშიც / ყვავილი
უპირატესობა / „მანონ ლესკო"-ს ავტორი
იტალიის კურორტი
რომეოს და ჯულიეტას ქალაქი
შექსპირის პერსონაჟი / ყური
რეჟისორ კუსტურიცას ჰქვია
აფროდიტეს სატრფო
პაუზა
იტალიის ფეხბ. გუნდი / ბროლი
ბიბლიური პერსონაჟი
ზევსის ფარი / ლინდგრენის ბიჭუნა
„შაჰ-ნამეს" პერსონაჟი
ინფორმაციის ერთეული
კვირის ბოლო
მადამ პიეხა
იაპონური ლექსი
მშრალი სუპების ფირმა
საფრანგეთის მდინარე
ულუს ბიძაშვილი
ქალის სახელი
I არხის დილის გადაცემა
ფრჩხილების მოვლა
თურქეთის დედაქალაქი
შუა სს ევროპელი მეომარი
ესპანეთის კუნძულები
მახათმა განდის შვილი
იმერეთის რეგიონი
ლაზერის თვალი / ნატეხი შაქარი
დასავლეთ ქართული სახლი
წინასწარი გადახდა
დაუსახლებელი
ნედლეული
ქირნახული / გერდას ძმობილი
მთის კალთა
მაიმუნების დამშინებელი
ძილი / ჟაკლინ კენედის მეუღლე
კორეული მანქანა
ცაგარელის პიესა
ჩიტის, ხილის / ადილეშია
მუჰამედის შვილი / (...) სტიუარტი / წივილი
ძვ.ეგვიპტელთა ღვთაება
ებრაელი ღვთისმსახური
სიყვარული / გველის ხმა
ყვავილი / წვის შედეგი
წვერის საღებავი
ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი
პირინეის ნახევარკუნძულის კონცხი
პრიალა ზედაპირის მქონე
პაუზა
მილა იოვოვიჩის როლი
ჯგუფი
კაუჭი
........ დასავალი / კაპიტან გრეის სატრფო
ესპანელი აზნაური
ქირურგიული იარაღი
ვიქტორ ჰიუგოს პერსონაჟი
სამკურნალო მცენარე
ლუის კეროლის პერსონაჟი
გორის საფეხბურთო კლუბი
იანის კოლეგა
სიგრძის ძველებური ერთეული
გერმანელი ფიზიკოსი
ირლანდიელი ფეხბურთელი
„ტაიმაუტი"-ს წამყვანი
ირანელი მაჰმადიანი
პაუზა
ჩინელთა დიდი ბელადი
თბილისის ტბა
პირუტყვის დასაჭერი თოკი
იაპონელი ხასა
ძვ.რომის კეისარი
იტალიელი ფეხბურთელი
მდინარე უკრაინაში
მუსიკალური ტემპი
კოპირების შედეგი
ანრი ნავარელის მეუღლე







# ვინ არის ყველაზე ჭკვიანი მაისში

## მეორე ტურის (11.05.) პასუხები და შედეგები

1. რუტგერი (გვარად ჰაუერი... იგულისხმებოდნენ შოპენჰაუერი და ეიზენჰაუერი). 2. ნორვეგია. 3. ჰალსტუხის. 4. მარკ ტვენმა. 5. სპეის შატლი. 6. ტურ ჰეიერდალი (პირველი მოგზაურობა „კონ-ტიკით“). 7. კამიკაძე. 8. ედგარ, ალანი, პო. 9. ლევ ტოლსტოი (მას არ აქვს ნაწარმოები დონ ჟუანის შესახებ, ალექსეი კონსტანტინეს ტოლსტოის კი აქვს). 10. ტელევიზორს. 11. ინოკენტი სმოკტუნოვსკი. 12. ბიკინის. 13. სოფი ლორენი (იგი არ ყოფილა როჟე ვადიმის ცოლი). 14. **Собака на сене**. 15. სიგუა.

15-ივე კითხვა გამოიცნეს შორენა ტყეშელაშვილმა და თინა და ელეონორა ფურცელაძეებმა.

***ორი ტური შემდეგ:*** **28 ქულა** - ლილე აქუბარდია, თინა ფურცელაძე. **27 ქულა** - ელეონორა ფურცელაძე, ნუკრი მაისურაძე. **25 ქულა** - ლია ლოლომაძე, ნინო მჭედლიძე, ალეკო ალიმბარაშვილი, ანდრო მჭედლიშვილი. **24 ქულა** - გიორგი გვასალია. **23 ქულა** - მაია ედიშერაშვილი, დიანა ვართანიანი. **22 ქულა** - მარიამ ხაჭაპურიძე. **21 ქულა** - გიორგი წერეთელი. **20 ქულა** - რუსუდან გურგენიძე. **19 ქულა** - პაატა თალაკვაძე. **18 ქულა** - დათო გაგნიძე, ნიკოლოზ წიქარიშვილი, ლია გაბედავა, თინათინ ციქურიშვილი. **17 ქულა** - მარინა ცომაია, ნუნუ გურგენიძე, მადონა ხეცაძე, გიორგი გელოვანი. **15 ქულა** - შორენა ტყეშელაშვილი, ცირა პავლიაშვილი, ნანა ძამაშვილი, თიკო გაბუნია. **14 ქულა** - თეა პირველი. **13 ქულა** - ნინო ბადალაშვილი. **12 ქულა** - ოთო გიორგაძე, ვახტანგ ნანავა. **11 ქულა** - ვაჟა პაპუაშვილი. **10 ქულა** - კახა ლელუაშვილი. **9 ქულა** - ირმა ერიაშვილი, ბესო ქურციკიძე, ავთანდილ გიორგაძე, დათო ჭილიტაშვილი, ნუგზარ ბაჩუკაშვილი. **8 ქულა** - თამუნა კაციტაძე. **4 ქულა** - თეონა თელია.

# შევერკინოთ ერთმანეთს?! – მესამე ტური

**დაგვირეკეთ შაბათს, 19 მაისს, 11-დან 13 საათამდე 79-53-70, (877) 72-61-18**



*თარაზულად:*

1. ქართულ ენაში ამ ცნებას თურმე შეესაბამება სიტყვა „მედღეურა", არადა უცხოურად ერთობ პოეტურად ჟღერს. 5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი რექტორი. 9. გიორგი ერისთავის კომედია. 13. მსოფლმხედველობის სახესხვაობა, რაც ვაჟა-ფშაველას ბევრ გმირს ახასიათებს. 14. ამ სიტყვის შესახებ სადღაც რომელიღაც რუბრიკაში მოგახსენეთ „სახლთან დაახლოებულ პირს ნიშნავს"(-მეთქი). 16. ასეთი ფილმებიც არსებობს. 17. ამ ქალბატონის გვარი ფრენკლინი გახლავთ და ერთ-ერთ ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სიას მეთაურობდა... თუმცა ამჯერად მისი სახელი გვაინტერესებს. 19. ამ ქალბატონის ნამდვილი სახელი და გვარი კი ფრანჩესკა რიველია, თუმცა აქაც მისი ფსევდონიმური სახელი გვაინტერესებს. 20. სიტყვა, რომელსაც პინგვინს ვერ ეტყვი, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ფრინველია. 21. სლავ მამაკაცებს შორის გავრცელებული სახელი. 24. როგორ შეიძლება მიგვემართა ინგლისის დედოფლისთვის, ჩვენი თანამემამულე რომ ყოფილიყო.

25. ***(პირველი საპრიზო კითხვა, რომელიც ძალზედ რთულად მიგვაჩნია)*** ირანის ისტორიის შესწავლას თავს ნუ შეაკლავთ, უბრალოდ ეგებ მოიძიოთ, რა ერქვა თითოეულ იმ მეამბოხეს, XIV საუკუნეში ჰულაგუიდებს რომ აუმხედრდნენ.

26. ქართული გაზეთი.

30. ***(მეორე საპრიზო კითხვა, რომელსაც ადვილად მოძებნით, თუ სათანადო ლიტერატურა გაქვთ)*** შრილანკას ქალაქი-პორტი.

31. 1771-1832 - რომელი მწერალი გამოეკვერა ამ თარიღებს შორის? 32. უსულო სხეული. 36. შემოკლებულ „კეშას" პასპორტში რა უწერია? 38. იტალიის საფეხბურთო კლუბი.

39. ***(მესამე საპრიზო კითხვა, რასაც ლექსიკონი არ სჭირდება)*** ძალიან რომ დაგღალეთ, მიტომაც მარტივ კითხვას გისვამთ - ბავშვს რომ ათქმევინოთ ჰამლეტის მონოლოგი, „ყოფნის" შემდეგ რას იტყვის?

42. საშუამავლო დოკუმენტის სახესხვაობა. 43. თბილისის ერთ-ერთი საპატიო მოქალაქე. 46. პრაქტიკული დანიშნულების მქონე მცენარე.





47. ***(მეოთხე საპრიზო კითხვა, რომელსაც მხედველობითი მახსოვრობა სჭირდება)*** იხილეთ ზედა ფოტო და მისი გვარი მოგვახსენეთ.

48. ერთ-ერთი მათგანი, ვისაც „არარაობები" სიცოცხლეში ცხოვრებას უწამლავდნენ, სიკვდილის შემდეგ კი მისი განდიდებით „ქულების მოპოვებას" ცდილობენ.

53. ***(მეხუთე საპრიზო კითხვა, რომელიც, თქვენი ამბავი რომ ვიცი, ბრდღვნად არ გეყოფათ)*** გაიხსენეთ იმ ნაწარმოების სათაური, რომლის მთავარ პერსონაჟს გეოგრაფიასთან ერთობ მწყრალი დამოკიდებულება აქვს და „ტიტების ქვეყნიდან" ადამიანის სამშობლოში დაბრუნება დიდ პრობლემად არ მიაჩნია.

54. სწრაფმავალი სამანძიანი იალქნიანი ხომალდი. 55. ფრანგი მწერალი. 59. ინგლისური ენის ერთობ პოპულარული სახელმძღვანელოს ავტორი. 60. მტაცებელი თევზი.

61. ***(მეექვსე საპრიზო კითხვა)*** ძვირფასი ქვა.

62. პორტუგალიის კოლონია. 63. აშშ კინორეჟისორი ქალი. 64. დიდი რუსი მოჭიდავე.

*შვეულად:*

1. თბილისის უბანი. 2. პრინციპი, რომლის მიხედვითაც ადამიანის სიცოცხლის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ბედნიერება.

3. ***(მეშვიდე საპრიზო კითხვა, ეს კითხვაც რთულია და სპეციალურ ლიტერატურას საჭიროებს)*** გადმოწერილია ენციკლოპედიიდან - **(?????????) Марио (1460-1525), итальянский писатель-эрудит. Автор сочинений по поэтике, трактата «О природе Любви» (опубликован в 1554).**

4. რა ერქვა კაცს, რომელმაც საქართველოს „პატარა იმპერია" უწოდა. 5. „შენი ჩამომტანის და შენი გამყიდველის ასე და ისე..." - ვილანძღებით ხოლმე, მისი ხმა რომ გვესმის... რა იგულისხმება? 6. საბრძოლო განლაგების შემადგენელი ნაწილი. 7. ქალაქი საფრანგეთში.

8. ***(მერვე საპრიზო კითხვა, ანუ თითქმის „Угадай мелодию")***. მათი მუშა მდგომარეობაში ყოფნა ხელს უშლის ერთ კომპოზიტორს თბილისის ისტორიის შესწავლაში... რა იგულისხმება?

10. შეჩვენება, განდევნა, მოკვეთა, დაწყევლა, შერისხვა... (ეყოფა, ცოდოა!). 11. საღებავი ნივთიერება, რომელსაც იღებენ ენდროს ფესვებისაგან ან ამზადებენ ხელოვნურად.

12. ***(მეცხრე საპრიზო კითხვა ლიტერატურის მოყვარულთათვის)***. ერთ-ერთი ყველას ნაცნობი კონსტანტინე.

15. ***(მეათე საპრიზო კითხვა კინოს მოყვარულთათვის)*** მრავალოსკაროსანი იტალიური წარმოშობის ჰოლივუდელი კინორეჟისორი.

18. ჰოლივუდის ერთ-ერთი, რუსები რომ იტყვიან, *„Диво"*. 22. ღმერთმა ასეთი ოჯახი თქვენც მოგცეთ და თქვენს შვილებსაც. 23. პერუს საუნივერსიტეტო ქალაქი. 27. სანსკრიტის ენაზე თურმე ეს „ჩაქრობას" (*„Угасание"*) ნიშნავს, არადა, ნეტარებაა მათთვის. 28. სან-ფრანცისკოს „რუსთავი" - ჩვენ ასე ვიტყოდით. 29. რომელიმე ორგანოს ან ქსოვილის დაპატარავება. 33. მექსიკელი მეკარე, რომელმაც ხუთ საფეხბურთო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.

34. ***(მე-11 საპრიზო კითხვა... უკომენტაროდ)*** ნიმცოვიჩის ყველაზე დიდი მოძულე ქართულ სინამდვილეში.

35. გვარი თბილისური გამწვანების ტოპონიმიკიდან. 37. მას სამი სტადია გააჩნია: დებილობა, იმბეცილურობა და იდიოტია. 40. კლარნეტის ქურდი. 41. ქალაქი ჩეხეთში. 44. **Провидение** - რუსულად, ქართულად - ? 45. ქალაქი მექსიკაში.

49. ***(მე-12 საპრიზო კითხვა, რომელსაც ასევე მხედველობითი მახსოვრობა სჭირდება)*** იხილეთ ქვედა ფოტო და მისი გვარი მოგვახსენეთ.

50. აპრილის ძველქართული ვარიანტი. 51. გასანათებელი საშუალება. 52. ნიზამი განჯელის პოემის ერთ-ერთი გმირი ქალი. 56. ახლო წარსულის გერმანელი ფეხბურთელი. 57. დრამატული ნაწარმოების, სპექტაკლის დასრულებული ნაწილი. 58. რა ჰქვია გორკისეულ ქელეზნოვას?

**ჯერ კიდევ აქვს აზრი ტურნირში ჩართვას გისურვებთ წარმატებას!**

**შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა**

**გასული ტურის პასუხები:**

**კროსვორდი:** ***თარაზულად:*** **1. ბრუშე.** 4. გონკური. **7. ტროიცკი.** 14. შინდლერი. 15. ლინდბერგი. 16. სვია. 19. არმინიუსი. 20. სპელეოლოგი. 23. ტირე. 24. ინდონეზია. 25. შტილი. **29. პალეი.** 30. გვადალუპე. 31. ავყია. 36. კანავერალი. **37. შტილერი.** 38. ენიო. 41. აგუტი. 42. ჩიყვი. 43. ოტიატრია. 47. ტარო. 48. გვარდია. 49. ტოლსტოი. **53. ქნარი.** 54. აკვალანგი. 55. ილეკი. 60. შალაშინი. 61. ხვითო. **62. ტრავერსი.** 65. ტოგა. 66. ჰენდელი. 67. კოცნა. 68. ლეთე. **69. პარონიქია.** (ითვლება პანარიციაც). 70. ნინო მანფრედი.

***შვეულად***: 2. რინო. 3. შილერი. **5. კვინსლენდი.** 6. როდა. 8. რიგოლეტო. 9. კოვბოი. 10. ეშაფოტი. 11. არსიანი. 12. შერპი. 13. მათიუში. 17. ნინოშვილი. 18. ხოხლოვი. 21. არტაანი. 22. ფიოლეტოვი. 26. დელვიგი. 27. ოპელი. 28. წიგნარა. 32. სკუდეტო. **33. კრუტოვი.** 34. ბრუტუსი. 35. იოკასტა. 39. პიპინაშვილი. 40. იაკოვლევი. 44. ქრონოლოგია. 45. კროკო. 46. ქოლგა. 50. ფრიში. 51. თართი. 52. სკორსეზე. 56. ფშატი. 57. ანტელი. 58. ფრონდა. 59. წიფელი. 63. ადლი. **64. ტორო.**

**12 საპრემიო კითხვა**

1. ბორბლების რაოდენობა. 2. სახლში (იგლუში) უფრო თბილა. 3. დენის (ერთი ნ-ით) ჰოლანდიაში ქალის სახელია. 4. იმით რომ პიგმენტური ლაქა გორბაჩოვის შუბლზე წააგავს ბირმის კონტურს რუქაზე. 5. თანამედროვე ხუთჭიდს, რომელშიც შედის ცხენოსნობა, ფარიკაობა, სროლა, ცურვა და კროსი. 6. ზევსი (.... რომელმაც მოიტაცა ევროპა). 7. დავითმა მოკლა გოლიათი. 8. რობოტი (კარელ ჩაპეკმა მოიგონა ეს სიტყვა). 9. კირილიცას ანბანის ასოებს. 10. პელე (ეს პროდუქტია ყავა). 11. შუმახერი (ღილაკია - 1, ასაფეთქებელი - ყუმბარა 1, სპორტი - 1 (ფორმულა 1). 12. როცა ლაპარაკია სამხედრო ფლოტის ოფიცრებზე (დენიზ - თურქულად [illegible])

**მეორე ტურის შედეგები ანუ ფურცელაძეების ტრიუმფი გასული კვირის „ფანტაზიის" ტურნირებში**

**23 ქულა** - ელეონორა ფურცელაძე.

**22 ქულა** - თინა ფურცელაძე.

**21 ქულა** - ალეკო ალიმბარაშვილი, ზურა სესიტაშვილი, იური გაბრიელიძე, ლილე აქუბარდია. **20 ქულა** - მუხრან ბიკაშვილი, დიანა ვართანიანი, თამრიკო დამენია, პაატა თალაკვაძე, თიკო გაბუნია, თამუნა შალიკიანი, მაია ედიშერაშვილი, ლიანა კუსრაძე, მარინე ხაჩირაშვილი. **19 ქულა** - ჯაბუ ბოხაშვილი, ლიანა ლოლომაძე. **18 ქულა** - ვაჟა პაპუაშვილი. **17 ქულა** - გიორგი გვასალია, ალექსი ჯუგაშვილი, გიორგი გელოვანი, ლელა ბუბაშვილი, ზაზა ჩეკურიშვილი, დავით მაისურაძე. **16 ქულა** - გივი გოგოლაშვილი, გიორგი ჩხეიძე. **14 ქულა** - ეთერ მიქაძე, დათო გაგნიძე. **13 ქულა** - ცირა პავლიაშვილი. **11 ქულა** - ქეთინო ურუშაძე, ბესო ქურციკიძე, თინიკო ციქურიშვილი. **10 ქულა** - თამუნა კაციტაძე, ალექსანდრე გიორგაძე, ვახტანგ ნანავა. **8 ქულა** - ოთო გიორგაძე, სოსო ნიკოლაიშვილი. **5 ქულა** - კახაბერ ბიკაშვილი. **3 ქულა** - ვახტანგ ნოზაძე

**ორი ტურის შემდეგ (თუმცა ჯერ ყველაფერი წინაა)**

| | |
|---|---|
| 1. თინა ფურცელაძე | **41** |
| 2. ლილე აქუბარდია | **40** |
| 3. ალეკო ალიმბარაშვილი | **40** |
| 4. ელეონორა ფურცელაძე | **39** |
| 5. ზურა სესიტაშვილი | **39** |
| 6. ჯაბუ ბოხაშვილი, | **39** |
| 7. ლიანა კუსრაძე | **39** |
| 8. მუხრან ბიკაშვილი | **38** |
| 9. იური გაბრიელიძე | **36** |
| 10. გიორგი გვასალია | **35** |
| 11. ვაჟა პაპუაშვილი | **35** |
| 12. თამრიკო დამენია | **35** |
| 13. მაია ედიშერაშვილი | **35** |
| 14. ლიანა ლოლომაძე | **34** |
| 15. ზაზა ჩეკურიშვილი | **34** |
| 16. ალექსი ჯუგაშვილი | **34** |
| 17. პაატა თალაკვაძე | **34** |
| 18. მარინე ხაჩირაშვილი | **34** |
| 19. თიკო გაბუნია | **33** |
| 20. თამუნა შალიკიანი | **33** |
| 21. გიორგი გელოვანი | **33** |
| 22. დიანა ვართანიანი | **33** |
| 23. გივი გოგოლაშვილი | **32** |
| 24. დავით მაისურაძე | **29** |
| 25. თამარ კაციტაძე | **27** |
| 26. ცირა პავლიაშვილი | **27** |
| 27. ეთერ მიქაძე | **27** |
| 28. ქეთინო ურუშაძე | **26** |
| 29. გიორგი ჩხეიძე | **26** |
| 30. დავით გაგნიძე | **24** |
| 31. ვახტანგ ნანავა | **21** |
| 32. მაია ყუბანეიშვილი | **21** |
| 33. ალექსანდრე გიორგაძე | **20** |
| 34. ლევან ივანიშვილი | **19** |
| 35. ლელა ბუბაშვილი | **17** |
| 36. ნინო დეკანოსიძე | **17** |
| 37. ნინო მჭედლიძე | **16** |
| 38. ოთო გიორგაძე | **16** |
| 39. გიორგი წერეთელი | **15** |
| 40. თინიკო ციქურიშვილი | **15** |
| 41. სოსო ნიკოლაიშვილი | **14** |
| 42. კახაბერ ბიკაშვილი | **13** |
| 43. მანანა ბუქღულაშვილი | **13** |
| 44. დათო ჭიღიტაშვილი | **12** |
| 45. ნატო მაღლაკელიძე | **12** |
| 46. მაკა კახნიაური | **12** |
| 47. ვახტანგ ნოზაძე | **11** |
| 48. ბესო ქურციკიძე | **11** |
| 49. ლია გაბედავა | **10** |
| 50. კობა დალაქიშვილი | **9** |
| 51. ნუგზარ ბაჩუჯაშვილი | **8** |
| 52. გოჩა ლობჟანიძე | **8** |
| 53. ირაკლი გიგაური | **7** |
| 54. ნუგზარ ინასარიძე | **5** |
| 55. იანა ბერიძე | **4** |

# 12 საპრემიო კითხვა

**აირჩიეთ მხოლოდ ექვსი კითხვა და გვიპასუხეთ**

**კითხვა №1**

ამერიკულ მხატვრულ ფილმში „აღორძინების ეპოქის ადამიანი" ერთ-ერთი პერსონაჟთაგანი ავითარებს იდეას რომ ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და გამძლე ადამიანებს შორის ამქვეყნად სტუდენტები და ჯარისკაცები არიანო; საკუთარი შეხედულების დასამტკიცებლად მას მოყავს ერთი კლასიკური ნაწარმოები, სადაც ყველა პერსონაჟი კვდება ნაწარმოების მანძილზე ჯარისკაცის და სტუდენტის გარდა... რა ჰქვია ამ ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს?

**კითხვა №2**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით საშუალოდ ინგლისელები ამის სწავლას 8 წელიწადს ანდომებენ, ესპანელები 2-3 წელიწადს, რუსები კი - 6 წელიწადს. ყველაზე რთულად იაპონელებს აქვთ საქმე, რომლებიც ამის სწავლას უმაღლესი განათლების მიღების მერეც განაგრძობენ... მაშ, რას სწავლობენ ისინი?

**კითხვა №3**

ერთმა რუსმა იუმორისტმა იხუმრა, რომ ამ გამოგონებას სახელი მათემატიკაში მეტად ცნობილი რიცხვის ასი წლის იუბილეზე მისცესო, საერთოდ კი ამ გამოგონებას სახელწოდება ერთმა იტალიურმა ქალაქმა მისცა... რა გამოგონებაზე საუბარი?

**კითხვა №4**

1878 წლამდე ჩვეულებრივი ცხვირსახოცი თითქმის ყველა საფეხბურთო მატჩის განუყოფელი ნაწილი იყო... რამ შეცვალა ეს ცხვირსახოცი 1878 წელს?

**კითხვა №5**

გაზეთ „თაიმსის" გამომცემელი რალფ დიკინი აცხადებდა, რომ „არაფერს არ შეიძლება ვუწოდოთ ახალი ამბავი, სანამ ის..." დაასრულეთ აზრი მაქსიმალურად ზუსტად.

**კითხვა №6**

ამერიკელმა მწერალა, ჯიმ რიდმა, უნდოდა რა აეხსნა, თუ როგორი ადამიანი არის ყველაზე დიდი თვალთმაქცი თქვა: „თვალთმაქცი არის ადამიანი, რომელიც ევედრება ღმერთს რომ მისი წიგნი გაიყიდოს, ამავე დროს კი ეს წიგნი ეძღვნება..." რას?

**კითხვა №7**

აშშ-ს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" 1996 წლის გამოკითხვის შედეგებით ათსწლეულის ადამიანებად დასახელებულნი არიან: ჟანა დ'არკი, მარტინ ლუთერი, ლეონარდო და ვინჩი, დედოფალი ელისაბედ II, ჩინგიზ ყაენი, უილიამ შექსპირი და ალბერტ აინშტაინი... ვისი ქორწინება იქნა აღიარებული ათასწლეულის შედევრად?

**კითხვა №8**

როგორც ცნობილია მარკუს ტულიუს ციცერონი ჰეროდოტეს ისტორიის მამას უწოდებდა. XVIII საუკუნეში მცხოვრებ ინგლისელს, ჯეკ ბრაუტონსაც უწოდებენ „მამას", რომლის დამსახურებათა შორის არის ხელთათმანების გამოგონება (მაგრამ არა ქალის) და შექმნა კოდექსისა (მაგრამ არა სისხლის სამართლის)... მაშ, რის მამად თვლიან ჯეკ ბრაუტონს?

**კითხვა №9**

რამოდენიმე წლის წინ მოსკოველი ნუდისტები აღნიშნავდნენ თავის წრეში ერთ-ერთ პირველ ნუდისტურ ქორწილს. მმაჩის ბიუროდან დანიშნულების ადგილამდე დღესასწაულის ყველა მონაწილე შესაფერისად იყო ჩაცმული, მათ თითქმის არ დაურღვევიათ საზოგადოებაში მიღებული ნორმები, თუმცა მათ მაინც გამონახეს საშუალება, რათა დაეფიქსირებინათ ამ ქორწინების ნუდისტური იერი... მაშ, რითი განსხვავდებოდა მოსკოველი ნუდისტების საქორწინო პროცესია სხვა დანარჩენი პროცესიებისაგან?

**კითხვა №10**

დღესდღეობით ყველას სმენია მოარული ჭორი, თითქოს მობილური ტელეფონები სიმსივნეს იწვევდეს. როგორც ჩანს, ასეთი რამ ყველა სიახლეს სდევს თან, ასე მაგალითად, როდესაც ეს (სხვა) თავისის დროის სიახლე გამოჩნდა, ევროპაში გავრცელდა ჭორი, თითქოს ის ენის კიბოს იწვევდა... რომელ სიახლეზეა საუბარი?

**კითხვა №11**

ეს დიდი მხატვარი დაიბადა 1889 წელს და გარდაიცვალა 1952 წელს. მის მრავალფეროვან შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კუბისტურ, აბსტრაქტულ, კონსტრუქციულ-დეკორატიულ კომპოზიციებს, პორტრეტებს და რაც მთავარია პეიზაჟებს. ამ პეიზაჟებს შორის კი ძალიან ცნობილია თემატური ციკლები - „პარიზი", „ბრეტანი" და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით სახელგანთქმულია ნამუშევართა ის სერია, რომელიც ხელოვანმა თავის მშობლიურ მხარეს მიუძღვნა. კონკრეტულად სად არის გამოსახული ხსენებული სერიის ყველაზე ცნობილი შედევრი?

**კითხვა №12**

XX საუკუნეში ისინი ამგვარი თანამიმდევრობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს: ვინჩენცო პეჩი, ჯუზეპე სარტო, ჯაკომო დელა კრეზე, აკილი რატი, ანჯელო რონკალი, ჯოვანი მანტინი, ალბინო ლუგანი... რა ეროვნებისაა უკანასკნელი, რომელიც სიაში მოხსენიებული არ არის?

**ტურნირი გაიმართება რვა ტურად (4 მაისი – 29 ივნისი). საპრიზო ქულების თანდათანობითი**

**– გამარჯვებული მიიღებს „მობილურ" ტელეფონს.**

**– მე-13 ადგილზე გასულს გადაეცემა 3 ვიდეოკასეტა.**

**– მესამე ტურში თამაშდება 26 საპრიზო ქულა.**

**– 12 საპრიზო ქულა კროსვორდიდან**

**– 12 ქულა საპრემიო კითხვებიდან შემდეგნაირად: მოცემული 12 კითხვიდან თქვენ ირჩევთ თქვენთვის სასურველ 6 კითხვას და ყოველ სწორ პასუხზე გერიცხებათ 2 ქულა.**



**– კიდევ ორ ქულას მიიღებთ, თუ ფოტორობოტზე აღბეჭდილი ორივე პერსონაჟის ვინაობასაც გამოიცნობთ; ცალკე თვალები და ცალკე სახე თითო-თითო ქულაა.**

- saprizo kiTxvebi rTulia da es Segnebulad keTdeba, raTa maTs Seqmnasac da amocnobasac azri gaaCndes.- Cven gvgonia, rom kiTxvaze pasuxis moZieba saturniro cxrilSi winsvlas ki ara, ganswavlulobis gafarToebas unda uwyobdes xels. - gTxovT zustad dadgenil droSi CaetioT, darekeT 11-dan 13 saaTamde.

# ვინ არის ყველაზე ჭკვიანი მაისში?

ვიქტორინა ჩატარდება ოთხ ტურად; ყველაზე მეტი ქულის დამგროვებელი მიიღებს მაისის ყველაზე ჭკვიანი „ფანტაზიელის“ ტიტულს; მეორე ადგილზე გასულს შეხვდება 50 ლარი, მესამე ადგილზე გასულს კი - 20 ლარი. დაგვირეკეთ გაზეთის გამოსვლის დღეს, პარასკევს, 18 მაისს, საღამოს 18-20 საათებში ტელეფონებზე: 79-53-70 ან (877) 72-61-18.

## მეორე ტურის პასუხები და შედეგები იხილეთ მეცხრე გვერდზე

## მესამე ტური (18 მაისი, პარასკევი, 18-20 სთ)

**1) აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი ჰიუბერტ ჰემფრი (1968 წ.) ძალიან ბევრს ლაპარაკობდა; ამასთან დაკავშირებით მისმა ცოლმა იხუმრა: „იმისათვის, რომ წარმოთქმული სიტყვა გახდეს უკვდავი, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ის იყოს**

ა) ომახიანი. ბ) მარადიული. გ) შთამბეჭდავი. დ) ხმამაღალი.

**2) 1972 წელს ოლიმპიადის ფინალში სსრკ-აშშ-ს კალათბურთელთა მატჩში გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო:**

ა) მიხეილ ქორქიამ ბ) ივან ედეშკომ გ) სერგეი ბელოვმა დ) ალექსანდრე ბელოვმა.

**3) ვინ თამაშობს თამადის როლს „არაჩვეულებრივ გამოფენაში“**

ა) გიგლა ფირცხალავა. ბ) თემო ჩირგაძე. გ) იუსუფ კობალაძე. დ) მალხაზ ბებურიშვილი.

**4) აბრაამ ლინკოლნის მავზოლეუმის გარშემო მხოლოდ 36 კოლონა დგას იმიტომ, რომ:**

ა) ამ ასაკში მოკლეს იგი. ბ) მისი დაბადების თარიღს ემთხვევა გ) აშშ-ში მაშინ ამდენი შტატი იყო. დ) არქიტექტურული ჩანაფიქრის გამო.

**5) ვინ გავიდა კოსმოსში პირველად გავიდა:**

ა) გაგარინი. ბ) ბერეგოვოი. გ) ფეოკტისტოვი. დ) ლეონოვი.

**6) მომღერლის კარიერის დაწყებამდე ელვის პრესლი იყო**

ა) მტვირთავი. ბ) მძღოლი. გ) სცენის მუშა. დ) მოდელიორი.

**7) სილამაზით ეს ყვავილი არ ჩამოუვარდება ვარდს, სამკურნალო თვისებებით კი ქან-შენს. ძვ. ბერძნები ამ ყვავილს „ყვავილების მეფეს უწოდებდნენ“... მაშ, რა ყვავილია ეს?**

ა) იორდასალამი ბ) ენძელა გ) ფრინტა დ) ნარგიზი

**8) 1950 წელს აფრიკის ტერიტორიაზე იყო 4 დამოუკიდებელი სახელმწიფო: ლიბერია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ეგვიპტე... და?**

ა) ალჟირი ბ) ტუნისი გ) ეთიოპია დ) ზაირი

**9) რომელმა იტალიელმა რეჟისორმა შექმნა 1971 წელს თომას მანის ნოველის, „სიკვდილი ვენეციაში“-ს ეკრანიზაცია:**

ა) პიერ პაოლო პაზოლინიმ ბ) ლუკინო ვისკონტიმ გ) ფედერიკო ფელინიმ დ) ვიტორიო დე სიკამ

**10) ჩეხეთის ქალაქი ჩესკე-ბუდეიოვიცე მთელ მსოფლიოში განთქმულია იმით, რომ აწარმოებს ორ პროდუქციას: ნამდვილ ჩეხურ ლუდ „ბუდვაიზერს“ და... რას?**

ა) ავტომობილ „შკოდას“ ბ) ავტომობილ „ტატრას“ გ) „კოჰინორის“ ფანქრებს დ) ჩეხურ ბროლს

**11) ოსკარ უაილდი ამბობდა, რომ „თეატრი არის ადგილი, სადაც ისმენენ სისულელეებს; ვარიეტე არის ადგილი, სადაც უყურებენ სისულელეებს...“ დაასახელეთ ადგილი, სადაც ლაპარაკობენ სისულელეებს მწერლის აზრით:**

ა) პარლამენტი ბ) კლუბი გ) რადიო დ) ოჯახი

**12) ამერიკელმა მოცურავემ, მარკ სპიტცმა 1972 წლის 31 აგვისტოს მიუნხენის ოლიმპიადაზე ხუთი ოქროს მედალი მოიგო და შვიდიდან რაც მან ამ ოლიმპიადაზე მოიპოვა... რა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ამერიკული სპორტის ისტორიაში მეორე დღეს, 1972 წლის 1 სექტემბერს?**

ა) მარკ სპიცმა მოიგო დანარჩენი ორი მედალიც ბ) ბობი ფიშერი გახდა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში გ) ამერიკელმა კალათბურთელებმა მოიგეს ოლიმპიური ოქრო დ) ბეისბოლი ჩართეს სპორტის ოლიმპიური სახეობების სიაში

**13) ყვავილის ვაქცინის გამომგონებელი ბრიტანელი მეცნიერი არის:**

ა) ედუარდ ჯენერი ბ) არჩიბალდ ედვარდ გაროდი გ) პატრიკ მენსონი დ) რონალდ როსი

**14) რომელი მათგანია ზედმეტი რაღაც მოსაზრების გამო?**

ა) მარკ ტვენი ბ) უილიამ ფოლკნერი გ) ერნესტ ჰემინგუეი დ) ჯონ სტეინბეკი

**15) აშშ-ს რომელი ქალაქია „კოკა-კოლას“ სტაბბინა?**

ა) ტრენტონი ბ) ჩიკაგო გ) ატლანტა დ) ბოსტონი




# აფორიზმების ანთოლოგია

1254. ნამდვილი მსახიობი სცენაზედაც მსახიობია.

**მიხაილ გენინი**

1255. მსახიობობა პროფესია კი არ დიაგნოზია

**უცნობი ავტორი**

1256. მსახიობები მით უფრო უკეთ თამაშობენ, რაც უფრო ცუდია პიესა.

**ალბრეხტ პალერი**

1257. ყველაზე კარგ და ყველაზე ცუდ მსახიობებს, ვაი, რომ სცენაზე არ ვხედავთ.

**რომენ როლანი**

1258. მისი სახელი არასოდეს ჩამოდიოდა აფიშებიდან, სადაც იგი ფიგურირებდა სიაში - „...და სხვები“

**ემილ კროტკი**

1259. თეატრში მუშაობას ბევრი რამ აქვს საერთო უმუშევრობასთან.

**არტურ ბინგოლდი**

1260. მას მსახიობობა უნდა და საამისოდ ყველა მონაცემი გააჩნია, რომელთა შორისაა უფულობა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა.

**ჰედა ჰოპერი**

1261. იმპროვიზირება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც როლი ზეპირად იცის.

**ჯოდი ფოსტერი**



1262. როცა მსახიობი მსახიობზე ქორწინდება, მათი დავის ძირითადი საგანია სარკე.

**ბერტ რეინოლდსი**

1263. იგი ისე თამაშობდა მეფეს, თითქოს ეშინოდა, რომ ვიღაც მოვა და ტუზის როლს შეასრულებს.

**იუჯინ ფილდი**

1264. მსახიობები პენსიაში არ გადიან. უბრალოდ ისინი სულ უფრო ნაკლებ და ნაკლებ როლებს იღებენ.

**დევიდ ნივენი**

1265. მსახიობმა პუბლიკას უნდა დაავიწყოს პიესის ავტორის არსებობა, რეჟისორის არსებობა და თავად მსახიობის არსებობაც.

**პოლ სკოფილდი**

# პატარა ენციკლოპედია

## თემა - „ფრანგი მწერლები“

**ლეფევრი** რაიმონ (1891-1920) - ჯგუფ „კლარტეს“ მონაწილე. ავტორი ანტიმილისტური მოთხრობებისა. რომანი - „აბრაამის მსხვერპლი“.

**ლოტი** (Loti) პიერ (1850-1923) - მსახურობდა საზღვაო ფლოტში. ავტორი ეგზოტიკური აღმოსავლური რომანებისა „ქალბატონი ქრიზანთემა“, „აზიადე ქალი“.

**ლუვე დე კუვრე** (Louvet de Couvray) ჟან-ბატისტ (1760-97) - ავტორი ცნობილი რომანისა „კავალერ დე ფობლასის სასიყვარულო თავგადასავალი“.

**მალო** (Malot) ჰექტორ (1830-1907) - საბავშვო რომანების ავტორი; გამოირჩევა სიუჟეტის დაძაბულობით და ადამიანური გრძნობებისადმი თანაგრძნობით.

**მალრო** (Malraux) ანდრე (1901-76) - მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე. 1959-69 წლებში საფრანგეთის კულტურის მინისტრი. რომანში „ადამიანური არსებობის პირობები“ არის განსჯა აღმოსავლური რევოლუციების და დასავლური სამყაროს კრიზისის შესახებ. ითვლება ფრანგი ეგზისტენციალისტების ერთ-ერთ წინამორბედად.

**მარეშალი** (Marechal) პიერ სილვენ (1750-1803) - მწერალი და ფილოსოფოსი-პუბლიცისტი. დიდაქტიკური პოემაში „ფრანგი ლუკრეციუსი“ ასახულია განმანათლებლობის ეპოქის სოციალურ-ფილოსოფიური იდეები.

**„მარივო** (Marivaux) პიერ კარლე დე შამბლენ დე (1688-1763) - რეალისტურ-ფსიქოლოგიური რომანის ჟანრის ერთ-ერთი შემქმნელი. რომანები: „მარიანას ცხოვრება“, „მარჯვე გლეხი“. აქვს მრავალრიცხოვანი კომედიები, გამოირჩევა სიმსუბუქითა და ლირიზმით.

**მარტენ დიუ გარი** (Martin du Gard) როჟე (1881-1958) - რომანში „ტიბოს ოჯახი“ (ტ.1-8, 1922-40) ოჯახური ქრონიკა გადაიზრდება XX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის რეალისტურ სურათებში. ნობელის პრემიის ლაურეატი (1957 წ.).

**მატეე** მატეოლუსი (1260-1320) - ავტორი წიგნებისა, სადაც იგი ილაშქრებს ქალების და სოლქმრული ცხოვრების წინააღმდეგ („მატეოლუსის ჩივილი“).

**მერიმე** (Merimee) პროსპერ (1803-70) - ნოველის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი მსოფლიო ლიტერატურაში („მატეო ფალკონე“, „ტამანგო“, „კარმენი“). ესპანურ თემატიკაზე შექმნილი პიესების კრებული. ისტორიული რომანი „შარლ IX-ს მეფობის ქრონიკები“.

# ეს უცნაური იტალიელები

*ნაწყვეტები მარტინ სოლის წიგნიდან* - ***The Xenophobe's Guide to The Italians***

** * *იტალიაში 60 მილიონამდე იტალიელი ცხოვრობს.*

****იტალია შვიდჯერ დიდია დანიაზე, სამჯერ დიდია ავსტრიაზე და ორჯერ პატარაა საფრანგეთზე.*

### ეროვნული თვითშეგნება

იტალიელები ერი კი არა, ერთ ენაზე მოლაპარაკე ერთად თავშეყრილი ხალხია. ისინი საკუთარ თავს პირველ რიგში იტალიელებად კი არა, რომაელებად, მილანელებად, სიცილიელებად ან ფლორენციელებად თვლიან. გარდა გზატკეცილებისა, რკინიგზისა და კათოლიკური ეკლესიისა, ისეთ ქალაქებს, როგორებიცაა, ვთქვათ ტურინი და ბარი, ნეაპოლი და ტრიესტი, სხვა არაფერი აკავშირებთ.







იტალიის ოლქები საერთოდ არ ჰგავს ერთმანეთს. ღრმად ფესვებგადგმული რეგიონალური კარჩაკეტილობა სავსებით გასაგები რამ გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იტალია, როგორც ერთიანი სახელმწიფო, მხოლოდ 1861 წლიდან არსებობს, მანამდე კი აპენინის ნახევარკუნძულზე განლაგებული იყო დამოუკიდებელი საგრაფოები, საჰერცოგოები თუ კომუნები. მათი გაერთიანების პროცესი დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. რისორჯიმენტოს (ეროვნული გაერთიანების) პროცესის ლიდერმა კავურმა ერთხელ თქვა:„იტალია ჩვენ ასე თუ ისე შევაწებეთ ერთმანეთს, ახლა იტალიელების შეწებებააო საჭირო". ეს პოლიტიკოსი ახლაც რომ ცოცხალი ყოფილიყო, კვლავაც იტალიელების გაერთიანებით იქნებოდა დაკავებული.

დროდადრო იტალიელები ცდილობენ საკუთარი თავი ერთიან ერად წარმოიდგინონ და გარკვეულად ნაწვალებ ნაციონალიზმსაც ავლენენ - ვთქვათ მაშინ, როცა იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო თასს ეუფლება ან მოთხილამურე ალბერტო ტომბა ზედიზედ ექვს რეკორდს ამყარებს. სხვა შემთხვევებში კი იტალიელები იტალიელობას მხოლოდ სამშობლოდან მოშორებისას გრძნობენ: სადმე მელბურნის კაფეში, ბელგიის მაღაროებში ან ამერიკული ფეხბურთის მატჩზე აშშ-ში.

მეორეს მხრივ, ეროვნული თვითშეგნების არარსებობა, დადებითი ფაქტია, რადგან ეს გრძნობა იტალიელებს აბსოლუტურად ათავისუფლებს მილიტარიზმისა და შოვინიზმისაგან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა კონფლიქტის გადაჭრა შეიძლება კომპრომისის ან მოსყიდვის საშუალებით და ყველა ხერხითა და მეთოდით ერიდებიან კონფრონტაციას. ასე რომ, ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც იტალიაზე ხელს აღმართავს, მანამდე, სანამ საკუთარ ჯარისკაცებს დასახოცად გაიმეტებს, სჯობს მოლაპარაკების გზით შეეცადოს კონფლიქტის მოგვარებას.

### საკუთარი სამრეკლოს ხიბლი

...თუმცა იტალიელებს მაინც ძალიან უყვართ თავისი სამშობლო, ანუ საკუთარ თავს ბოლომდე იტალიელებად რაკიღა არ თვლიან, იმ ადგილებს აღმერთებენ, სადაც მათი ფესვებია ჩაყრილი.

„სადაური ხარ?" - იტალიელისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი კითხვაა და ყოველთვის ზუსტი პასუხი გააჩნია. არცერთი იტალიელი, ინგლისელის ან ამერიკელისაგან განსხვავებით, ამ კითხვის დასმისას არ შეცბება და მიკიბ-მოკიბვას არ დაიწყებს.

- „აბა, რა გითხრათ, ჯერ უნდა დავფიქრდე. ლონდონში ვცხოვრობ, ჰერტფორდშირში დავიბადე, შემდეგ მშობლები ლიდსში გადასახლდნენ, სკოლა ბრისტოლში დავამთავრე, საუთჰემპტონში კი მუშაობა დავიწყე...." - ასე შეიძლება ინგლისელი მსჯელობდეს, იტალიელმა კი ზუსტად იცის, სადაურიც არის და ყველგან დროშასავით აფრიალებს მშობლიური ქალაქის თუ სოფლის სახელს. ტურინში მომუშავე კაცი, რომელიც აპულიის ქალაქ სან-ჯორჯოშია დაბადებული, მთელი ცხოვრება აპულიელად დარჩება. იგი არასოდეს გაწყვეტს კავშირს მშობლიურ სან-ჯორჯოსთან და არასოდეს დაემგვანება ტურინელს. ამიტომაც არაა გასაკვირი, როცა ესა თუ ის ცნობილი პიროვნება თუ პოლიტიკური მოღვაწე, ხშირად თავის მშობლიურ ქალაქსა და თანაქალაქელებს უანგაროდ ეხმარება ხოლმე.



* * *

ადამიანის წარმოშობა იტალიელისათვის განუყოფლადაა დაკავშირებული ისეთ ცნებასთან, როგორიცაა, ***"campanilismo"*** ანუ საკუთარი სამრეკლოდან ყურება, ესე იგი ერთგულება მშობლიური ადათ-წესებისა, რომელზე უკეთესიც მთელ მსოფლიოში არა მოიპოვება რა. იტალიელებს გულის სიღრმემდე უყვართ მშობლიური მხარე და ძნელად შორდებიან მას.

ამგვარი შეზღუდული პატრიოტიზმის გამოისობით, რა თქმა უნდა, ხშირია უკიდურესი დაპირისპირება მეზობელ სოფლებს, ქალაქებს, პროვინციებს თუ ოლქებს შორის. ზოგჯერ ამ დაპირისპირების გარდა იტალიელს სხვა საზრუნავი არ აქვს და ისინიც თავგამოდებით ამტკიცებენ, თუ როგორი ზარმაცები და უქნარები არიან მეზობელი ოჯახის, ქალაქის თუ მხარის წარმომადგენლები. და, მგონი, იმასაც ფიქრობენ, თუ რა კარგი იქნებოდა იტალიაში ცხოვრება ***"gli altri"***-ის, ანუ იმ სხვა, მეზობელი იტალიელების გარეშე.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

**მცირეოდენი ხნის წინ დავასრულეთ ხანგრძლივი საუბარი საფრანგეთისა და ფრანგების შესახებ. ახლა ასეთივე „კამპანიის" გამართვა გვსურს იტალიასა და იტალიელებთან დაკავშირებით.**

**ამგვარი პუბლიკაციების მიყვარულნი გვსურს დავაიმედოთ, რომ მათ ელით შეხვედრა ესპანელებთან, გერმანელებთან, ამერიკელებთან და ა.შ.**

## პატარა ენციკლოპედია
### თემა – „იტალიელი მხატვრები"

**ალბერტი** (Alberti) ლეონ ბატისტა (1404-72) - მხატვარი, მეცნიერი, არქიტექტორი, ხელოვნების თეორეტიკოსი. ადრეული აღორძინების წარმომადგენელი.

**ანჯელიკო** (Angelico) იგივე ფრა ჯოვანი და ფიეზოლე (1400-1455) - ადრეული აღორძინების წარმომადგენელი. ანჯელიკოს რელიგიური თემატიკა განმსჭვალულია ლირიზმითა და თვალისმომჭრელი ზღაპრულობით (ფრესკა ფლორენციის სან-მარკოს მონასტერში).

**ანდრეა დელ სარტო** (Andrea del Sarto) (1486-1530) - მაღალი აღორძინების ფლორენციული სკოლის წარმომადგენელი. მონუმენტალური, გრანდიოზული ფრესკები ფლორენციის მონასტრებში.

**ანტონელო და მესინა** (Antonello da Messina ) (1430-79) - ადრეული აღორძინების წარმომადგენელი. ავტორი პლასტიკურად ნათელი, პოეტურ სურათებისა; ძირითადი თვისება - ფერის სიღრმისა და სინათლის მაქსიმალური გამოყენება („ჯვარცმა", „წმ.სებასტიანი").

**აფრო** (Afro) (1912-76) ლირიული აბსტრაქციონიზმის წარმომადგენელი.

**ბალა** (Balla)) ჯაკომო - ფუტურიზმის ოსტატი. მოწიფულ შემოქმედებაში 1910 წლიდან ფიგურული კომპოზიციებიდან აბსტრაქციებზე გადაერთო.

**ბართოლომეო** (Bartolommeo) ფრა (1472-1517) - მაღალი აღორძინების წარმომადგენელი. გრანდიოზული ფრესკული ნამუშევრები („ქრისტეს დატირება").

**ბასანო** (Bassano) იაკოპო (1517-82) - გვიანი აღორძინების წარმომადგენელი. რელიგიურ სიუჟეტებში ჩართული აქვს სოფლის ცხოვრების სცენები, პეიზაჟები და ნატურმორტი. განიცდიდა მანიერიზმის ზეგავლენას.

**ბელოტო** (Bellotto) ბერნარდო (1720-80) - მხატვარი-ოფორტისტი. ვენეციანური სკოლის წარმომადგენელი. ვედუტის, ანუ დოკუმენტალურად ზუსტი არქიტექტურული პეიზაჟის ოსტატი (ვენეციის, დრეზდენის, ვარშავის ხედები).

**ბენუა** ნიკოლაი (1901-88) - დაიბადა რუსეთში. 1925 წლიდან იცხოვრა იტალიაში. გაფორმებული აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საოპერო თეატრის სპექტაკლები.

**ბერნინი** (Bernini) ჯოვანი ლორენცო (1598-1680) - მხატვარი-ვირტუოზი, მოქანდაკე და არქიტექტორი. ბაროკოს სტილის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**ბოტიჩელი** (Botticelli) სანდრო (ალესანდრო ფოლიპეპი) (1445-1510) - ადრეული აღორძინების წარმომადგენელი. დაახლოებული იყო მედიჩების სამეფო კართან და ფლორენციის ელიტარულ წრეებთან. რელიგიურ-მითოლოგიური ხასიათის ტილოები („გაზაფხული", ვენერას დაბადება") განმსჭვალულია პოეზიითა და დახვეწილი კოლორიტით. დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის" ილუსტრაციების ავტორი.

**ბოჩონი** (Boccioni) უმბერტო (1882-1916) - ფუტურიზმის ერთ-ერთი ლიდერი. მის ხელოვნებაში დომინირებს მსოფლიოს ტოტალური გარდაქმნის თემა. დაიღუპა 1-ლი მსოფლიო ომის ფრონტზე.

**ბრონზინო** (Bronzino) ანჯელო (1503-72) - მანიერიზმის წარმომადგენელი. უკიდურესად დახვეწილი, მიუკერძოებელი პორტრეტების სერიის ავტორი.

## იტალიის ოლქები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აბრუცი | Abruzzi | 10 794 კვ.კმ | 1 272 400 მცხ. | ლაკუილია |
| 2. აპულია | Apulia | 19 347 | 4 081 600 | ბარი |
| 3. ბაზილიკატა | Basilicata | 9 992 | 624 600 | პოტენცა |
| 4. ემილია-რომანია | Emilia-Romagna | 22 123 | 3 928 800 | ბოლონია |
| 5. ვალე-დ'აოსტა | Valle d'Áosta | 3 262 | 116 000 | აოსტა |
| 6. ვენეცია | Venetia | 18 364 | 4 398 100 | ვენეცია |
| 7. კალაბრია | Calabria | 15 080 | 2 153 700 | რეჯო-დი-კალაბრია |
| 8. კამპანია | Campania | 13 595 | 5 853 900 | ნეაპოლი |
| 9. ლაციო | Latium | 17 203 | 5 191 500 | რომი |
| 10.ლიგურია | Liguria | 5 416 | 1 719 200 | გენუა |
| 11.ლომბარდია | Lombardy | 23 856 | 8 939 400 | მილანი |
| 12.მარკე | Marches | 9 694 | 1 435 600 | ანკონა |
| 13.მოლიზე | Molise | 4 438 | 336 450 | კამპო-ბასო |
| 14.პიემონტი | Piedmont | 25 399 | 4 356 230 | ტურინი |
| 15.სარდინია | Sardinia | 24 090 | 1 664 370 | კალიარი |
| 16.სიცილია | Sicily | 25 708 | 5 196 900 | პალერმო |
| 17.ტოსკანა | Tuscany | 2 992 | 3 562 425 | ფლორენცია |
| 18.ტრენტინო-ალტო-აჯიჯე | Trentino-Alti-Adige | 13 613 | 891 420 | ტრენტო |
| 19.უმბრია | Umbria | 8 456 | 822 765 | პერუჯა |
| 20.ფრიული-ვენეცია-ჯულია | Friuli-Venezia-Giulia | 7 846 | 1 201 030 | ტრიესტი |

# ამერიკული კროსვორდი



# იაპონური ნახატი



**თარაზულად:**

1. ასტროფიზიკის დარგი, რომელიც შეისწავლის მთლიანი სამყაროს წარმოქმნის და აგებულების საკითხებს. 8. მასალა, რომელიც ქაღალდის წინამორბედად ითვლება და რომელიც ერთგვარი მცენარისგან მზადდებოდა (სხვათა შორის, მისი სახელი ფიგურირებს ერთგვარი მოსაწევის დასახელებაში) 15. უღელტეხილი სვანეთის კავკასიონზე. 16. ის, ვინც კურდღელი იმსხვერპლა, ერთ-ერთი რუსული სიმღერის თანახმად. 17. ყველაზე ცნობილი ქართველი მეფე ვახტანგ გორგასლამდე. 18. „თარგმნეთ“ ქართულად სიტყვა „ბილინგვური“. 19. ირანის მეტოქე ქვეყანა სპარსული მითების და ეპოსის თანახმად. 20. ნივთიერების ნაწილაკი, რომელიც დიდხანს ყველაზე უმცირესი ეგონათ. 21. რუსი საესტრადო მომღერალი, ლეონიდ (....). 23. ძველი თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული რამ (მხოლ. რიცხვ.) 24. საზოგადოების რჩეული ნაწილი. 26. დეკანოსიძეც და წურწუმია. 27. სამხრეთ ევროპული ქვეყნის დედაქალაქი. 28. აგულის ნაბოლარა. 29. ვინმე დასლერის შემოკლებული სახელი. 30. მუსლიმანური ქვეყნების მკვიდრთა თავსაბურავი. 31. ქართული როკ-ჯგუფი. 33. მსხვილ მარგალიტსაც ჰქვია და უდედმამო ადამიანსაც. 34. სისხლნაკლებობა სამედიცინო ენაზე. 38. ფრანგი ფეხბურთელი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. 41. როგორი პრეზიდენტები არიან, მაგალითად, ნელსონ მანდელა ან სუხარტო? 42. კომპოზიტორ ხაჩატურიანს ერქვა. 44. სახამებლიანი ნაყოფის მქონე პალმის ჯიში. 45. შიშის ან ტკივილის შორისდებული. 47. კაპიტანი „არავინ“ ანუ? 48. ერთგვარი ქსოვილიც და ძვირფასი სავარძლის სახელიც ძველად. 49. ხორცსაკეპში გატარებული შეზავებული ხორცი. 50. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დრამატურგი. 52. ტაილანდის ძირითადი ხალხი. 53. ინდოელ ქალთა სამოსი. 54. დიდი ქართველი მსახიობი, რომელსაც ერთობ შეესაბამებოდა ოტელოს როლი. 55. ხილი, რომელიც მოკლე ხანში გამოჩნდება ჩვენი ბაზრების დახლებზე. 58. მამითადის მეორე სახელი. (ეს ორი სახელი რად უნდა?!) 59. რისამე შინაარსი, დედააზრი. 61. დროის დიდი მონაკვეთი, ეპოქა. 62. წამალი, რომლითაც ნუნუ ექიმი კურნავდა პატიმრებს. 63. რუსი მსახიობი ქალი დემიდოვაც და პოეტი ქალი მარჩენკოც. 64. ეპიკური ჟანრის ლექსი-თქმულება. 67. ძველმეგრელთა მონათესავე ტომის წარმომადგენელი. 69. მყარი ნახშირწყალბადების ნარევი. მიიღება ნავთობისგან და გამოიყენება, მაგალითად, სანთლების დასამზადებლად. 70. თეატრის კოლექტივი. 71. აფრიკის ნაპირებთან მდებარე სახელმწიფო კაბოვერდეს ანუ მწვანე კონცხის კუნძულების დედაქალაქი. 74. რუსი მსახიობი ქალის სამოხინაც და პოეტი ქალი ახმატოვაც. 75. ყაზახეთში მდებარე ტბა ბალხაშის მკვებავი (ერთობ საკროსვორდო)მდინარე (დაილოცოს მისი სახელის დამრქმევი). 76. საპერანგე აბრეშუმის ქსოვილი ძველად. 77. უმაღლესი ნეტარების მდგომარეობაც ბუდიზმში და ინგლისური როკ-ჯგუფის სახელწოდებაც. 78. სისხლის თეთრი ბურთულების წარმომშობი ორგანო, რომელიც ძევს მარცხენა ფერდქვეშა არეში. 79. რა არის ახალი აფხაზეთში? 80. ისტორიის მუზა.

**შვეულად:**

2. რა აქვს ბევრი ცათამბჯენს? 3. კუთხეების საზომი სიდიდე, უდრის 60 სეკუნდას. 4. მართლმადიდებელ მღვდელთა სამოსი. 5. მთის ეთერზეთოვანი მცენარე. 6. სპარსეთის ყურის არაბული ქვეყანა. 7. იგივე აირი. 8. საკურორტო ადგილი პოლონეთში, სადაც ერთდროს ლენინიც კი იმალებოდა. 9. ბერძნული წინსართი, რომელიც ქარს აღნიშნავს რთულ სიტყვებში. 10. ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი ძველბერძნული ღვთაება. 11. ესპერანტოს დამხმარე ენა. 12. სტოკჰოლმის ცნობილი პარკი. 13. მამალი კვიციც ქართულად და ვაშაც რუსულად. 14. პარლამენტის ზედა პალატა ბევრ ქვეყანაში. 16. „ქარის (.....) ქარივე წაიღებს“. 17. ღვინის სასმისი. 20. იაპონელი მწერალი, კობო (....). 22. ფრინველი, რომელიც სიცოცხლეში ერთხელ მღერის. 23. სამცხის მთავართა ტიტული. 24. ის, რის განხორციელების მეშვეობითაც ბევრი აუცილებელი რამის შეძენა ხდებოდა ძველ დროს (საბჭოთა ეპოქაზე მოგახსენებთ). 25. მუსლიმანური თემის ლიდერი, მეჩეთის უფროსი ზოგ ქვეყანაში. 27. ასაფეთქებელი ნივთიერება, ამონიტის ნაირსახეობა. 28. ქართველი კომპოზიტორი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მუსიკალური ფოლკლორის შესწავლაში. 30. თვალსაც აქვს და ძველ რუს მოხელესაც ჰქონდა. 32. წილი რაიმე საქმეში, საწარმოში. 35. ესპანეთის საინფორმაციო სააგენტო. 36. მდინარე კახეთში, ახმეტის რაიონში. 37. სასმელი, რომლის იმიჯი რატომღაც ფრენასთანაა ასოცირებული. 38. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელიც ავტოავარიაში დაიღუპა. 39. საამოც, სასიამოვნოც ძველქართულად და პირველი საბჭოთა ავტომობილიც. 40. ქალაქი და საფეხბურთო გუნდი საფრანგეთში. 43. ის, რაც ნამდვილად არსებობს და რასთან შეგუებასაც ხშირად მოგვიწოდებენ ჩვენი პოლიტიკოსები. 45. ინდუისტთა წმინდა ქალაქი ინდოეთში. 46. არჩევანის სიტყვა. 48. ეგვიპტის დიდი სულთანი მე-12 საუკუნის ბოლო მეოთხედში, რომელმაც დაამარცხა ჯვაროსნები და 1187 წელს იერუსალიმი აიღო. 49. თბილისის გარეუბანი. 50. სახალხო კრების სახელი ავღანეთში. 51. ასე ეძახდნენ ებრაელს ზოგჯერ ჩვენში. 53. ქალის ერთგვარი კაბა. 56. ლერმონტოვის პერსონაჟი ქალი. 57. პლაჟის ტივტივა. 60. სტალონეს შინაურული სახელი. 65. იტალიელი მწვრთნელი, (....) საკი. 66. ჩვენი ცნობილი კინო-„ქალაქი“. 68. თხების ჯოგი. 69. იტალიური დელიკატესი. 70. ძალის ერთეული. 71. ერთგვარი თამაში ცხენებით. 72. ირანული წარმოშობის სარეცხი ფხვნილი. 73. ყაზახური ლიტერატურის კლასიკოსი. 76. მევიოლინე ქალი, ვანესა (.....).

# *პიერ ბული*

*(გაგრძელება, დასაწყისი „ფანტაზია“ № 11-ში, თარგმნის ალ.ელერდაშვილი)*

*Pierre Boulle* Planete des Singes
*Paris, 1962*

- ხომ კარგად ბრძანდებით? მე დედამიწელი ვარ! დედამიწა კი აქედან ძალზედ შორსა მდებარეობს.

აზრს მნიშვნელობა არ ჰქონდა. საკმარისი იყო მხოლოდ ლაპარაკი, რათა მაიმუნებს გაეგოთ, თუ ვისთან აქვთ საქმე. მიზანი მიღწეულ იქნა. ალბათ, არსად არასოდეს არცერთ მაიმუნს არ ჰქონია ისეთი გამოთაყვანებული სახე, რაც მათ აღებეჭდათ დრუნჩებზე იმწამს! გალიაში მყოფი გორილა და მისი მეწყვილე გაოცებისაგან გაშეშდნენ და ამოსუნთქვისაც ეშინოდათ. ბოლოს, როგორც იქნა, ხმადაბლა დაიწყეს რაღაცაზე ლაპარაკი, თუმცა მათი პატარა თათბირი სრულიად მოულოდნელი შედეგით დასრულდა. გორილამ ერთხელაც ეჭვით შემომხედა, შემდეგ გალიიდან გავარდა და სასწრაფოდ და საგულდაგულოდ ჩარაზა კარი. მერე მაიმუნებმა ერთმანეთს გადახედეს და უცებ თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდათ. როგორც ჩანს, მე მართლაც უნიკალურ მოვლენას წარმოვადგენდი, რადგან ისინი დიდხანს ვერ ახერხებდნენ დამშვიდებას. სიცილისაგან თვალებზე ცრემლებიც კი მოადგათ, ერთმა გორილამ კი ფაფით სავსე ბადია დაბლა დადგა და ჯიბიდან უზარმაზარი ცხვირსახოციც კი ამოიღო.



# მაიმუნების პლანეტა

წყენამ და იმედგაცრუებამ იმდენად დამიბნელეს გონება, რომ ლამის სიგიჟე დამეწყო. მრისხანებისაგან მეც სორორელი ადამიანებივით გალიის გისოსებს ვეჯაჯგურებოდი და ჩემთვის ცნობილ ყველა ენაზე ვლანძღავდი და ვაგინებდი ამ საძაგელ მაიმუნებს. ლანძღვა-გინების მარაგი რომ ამომეწურა, ღრიალი დავიწყე და დროდადრო სრულიად გაუაზრებელი წამოძახილებით ვუხმობდი საშველად ყველას და ყველაფერს. საბოლოოდ გორილებმა მხოლოდ ზიზღით აიჩეჩეს მხრები და სანამ წავიდოდნენ, კვლავაც რამოდენიმეჯერ შემომხედეს და ყურადღებით ამათვალ-ჩამათვალიერეს.

ასეა თუ ისე,მათი ყურადღება მივიპყარი და როცა ძალაგამოცლილმა უაზრო ყვირილი შევწყვიტე, ერთმა გორილამ ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, ჩემს გალიაზე მიმაგრებულ პატარა დაფას შეხედა  და რაღაც ჩაიწერა.

გორილები წავიდნენ. ტყვეები, რომლებიც ჩემს გამძვინვარებას გაოცებულნი უმზერდნენ, კვლავაც მიუბრუნდნენ საჭმელს. არც მე მქონდა სხვა საქმე, უნდა მეჭამა, დამეძინა და ჩემი კეთილშობილური ადამიანური არსების გამოვლენისათვის სხვა დროსა და საშუალებას დაველოდებოდი. გორილების მორთმეულ სალაფავს მეც შევექეცი და მერე ის რაღაც წვნიანი ხილიც დავაყოლე. ჩემს მოპორდაპირე გალიაში მყოფი ნოვა კი დროდადრო წყვეტდა თავისი ულუფის თქვლეფას და ჩემსკენ ალმაცერად იმზირებოდა.

## მეცამეტე თავი

დღის ბოლომდე აღარავის შევუწუხებივართ. არც სინათლე აუნთია ვინმეს ჩვენთვის და მთელი ღამე უძილოდ გავატარე, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ბალახ-ბულახზე ძილს ჩვეული არ ვიყავი, უბრალოდ მთელი ღამე გეგმებს ვაწყობდი, თუ როგორ დამემყარებინა მაიმუნებთან კონტაქტი და როგორ მელაპარაკა მათთან. საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ ბრმა მრისხანებას მოვთოკავდი და დიდის მოთმინებით გამოვიყენებდი ყველა ხელსაყრელ მომენტს საკუთარი გონიერების გამოსავლენად. დარაჯი გორილები, რა თქმა უნდა, იქ მომუშავე პერსონალს შორის ყველაზე შეზღუდული არსებები იყვნენ; ბუნებრივია, ისინი სათანადოდ ვერ შეაფასებდნენ ჩემს განზრახვას, მაგრამ ხომ უნდა არსებულიყვნენ ამ ორგანიზაციაში უფრო კულტურული მაიმუნები?!

დილით დავრწმუნდი, რომ ჩემი ვარაუდი სწორი ყოფილა. რომ გამოვილვიძე, შევნიშე, ჩემი მეზობელი ტყვეები ზუსტად ისე იქცევიან, როგორც დედამიწაზე არსებული ზოოპარკების ბინადარნი, თუმცა მთავარი ისაა, რომ ორიოდე საათის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ინსტინქტურად მეც მათსავით ვმოქმედებდი და ლამის კვლავ დეპრესიაში ჩავვარდი, მაგრამ მალევე მოვეგე გონს, გისოსებთან ჩამოვჯექი და, რაც შეიძლება ჩაფიქრებული, ადამიანის პოზა მივიღე. ამ დროს კარი გაიღო და დარაჯი გორილების თანხლებით მდედრი შიმპანზე გამოჩნდა. დარაჯები მას ელაქუცებოდნენ და მივხვდი, რომ ეს ქალბატონი საკმაოდ გავლენიან არსებად ითვლებოდა იმ დაწესებულებაში.

დარაჯებს, რა თქმა უნდა, ნათქვამი ჰქონდათ ჩემი ამბავი, რაკიღა შემოსვლისთანავე შიმპანზემ რაღაც იკითხა და დარაჯებმაც ჩემი გალიისაკენ გამოიშვირეს თათები. შიმპანზე პირდაპირ ჩემსკენ გამოეშურა.

სანამ იგი მიახლოვდებოდა, მე მისი შეთვალიერება მოვასწარი. მასაც თეთრი ხალათი ეცვა, ოღონდ ბევრად უფრო ელეგანტურად ჰქონდა მორგებული ტანზე, ვიდრე დარაჯებს. ყველაზე მეტად კი მისმა საოცრად ჭკვიანმა და ცოცხალმა თვალებმა გამაოცეს; ასე მეგონა, რომ ეს სიკეთის მომასწავებელი იყო ჩემთვის. შიმპანზე ძალზედ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა,მიუხედავად იმისა,რომ სახეზე მასაც ჰქონდა ტიპიურად მაიმუნისათვის დამახასიათებელი ნაოჭები. ხელში მას ტყავის საქაღალდე ეჭირა.

მდედრი შიმპანზე ჩემს გალიასთან შეჩერდა და ყურადღებით დამიწყო თვალიერება. პარალელურად საქაღალდიდან რაღაც რვეულებსაც იღებდა.

- დილა მშვიდობისა, მადამ! - ვუთხარი და თავი დავუკარი.

შევეცადე, რომ ხმაში, რაც შეიძლება მეტი, ალერსი ჩამექსოვა. შიმპანზეს პატარა დრუნჩზე უზომო გაოცება აესახა, მაგრამ მან სერიოზულობა შეინარჩუნა და ხელის აქნევით დარაჯი გორილების დადუმებაც მოასწრო, დარაჯები კი კვლავ ხორხოცის დაწყებას აპირებდნენ.

- მადამ თუ მადმუაზელ?! - განვაგრძე წარმატებით გახალისებულმა - მე გულწრფელად მწყინს, რომ იძულებული ვარ ამგვარ სიტუაციაში წარმოგიდგინოთ თავი... დამიჯერეთ, მე არ ვარ ის ადამიანი...

და ასე ვლაპარაკობდი და ვლაპარაკობდი ათასგვარ სისულელეს და ერთადერთი მიზანი მქონდა, რომ ჩემი სიტყვები ჰარმონიულად შერწყმოდნენ დახვეწილ და თავაზიან ტონს, რომლის დაცვაც აუცილებელ პირობად დავისახე. როცა ლაპარაკი დავასრულე, უკიდურესი კეთილგანწყობით გავუღიმე შიმპანზეს, რომელსაც გაოცება აშკარა გაოგნებითა და გაშტერებით შეცვლოდა. მცირე ხანში მას თვალები კვლავ აუციმციმდა, შუბლის ნაოჭები გაეხსნა და ცხადი შეიქნა, რომ იგი რაღაც ურთულესი ამოცანის ამოხსნას ცდილობდა. საბოლოოდ მანაც ნაზად გამიღიმა და გულში იმედის სითბო ჩამეღვარა - რაღაც სინათლე გამოჩნდა ჩემს სამომავლო არსებობაში.

მთელი ამ სცენის განმავლობაში ჩემი მეზობელი ტყვეები აღარ ავლენდნენ იმ აგრესიას, რასაც ადრე მათში ჩემი გონივრული ქმედებანი იწვევდნენ. პირიქით, ახლა ისინი ერთგვარი ინტერესითაც გვიმზერდნენ; სორორელი ადამაიანები გალიის გისოსებზე იყვნენ მომწყდარნი და ცდილობდნენ ჩვენი ურთიერთობისათვის თვალი ედევნებინათ. მხოლოდ ნოვა ვერ მშვიდდებოდა და გააფთრებული ეხლებოდა გალიის კედლებს.

მდედრმა შიმპანზემ ხალათის ჯიბიდან კალამი ამოიღო და რვეულში რაღაც ჩაიწერა. შემდეგ აწია თავი და სახეზე მღელვარება რომ შემატყო, ნაზად გამიღიმა. ამან გაბედულება შემმატა და კიდევ ერთი მეგობრული ჟესტის გამოვლენა ვცადე. გალიიდან გავყავი ხელი და შიმპანზეს თათის გამოწოდებას დაველოდე. დარაჯი გორილები შეშინდნენ და საშველად გამოიწიეს, მაგრამ შიმპანზე მოკლე ბრძანებით დააშოშმინა ისინი, თავს მოერია, თვალი თვალში გამიყარა და ოდნავ აკანკალებული თათი გამომიშვირა. მე არ ვინძრეოდი, შიმპანეზე ჩემს ხელს შეეხო და ვიგრძენი, როგორ შეაჟრჟოლა მისი ტანი ამ შეხებამ... მე კვლავ არ ვინძრეოდი, რომ არ დამეფრთხო ეს ქალბატონი, რომელიც წამიერადვე მოეგო გონს, ხელზე საოცრად გრძელი თითებით მომეფერა კიდეც და თავის ასისტენტებისაკენ აღფრთოვანებული მზერა ტყორცნა.

სიხარულისაგან სული შემეგუბა. გულში იმედის ნაპერწკალი ამიკიაფდა, რომ იგი ბოლოსდაბოლოს ჩემში გონიერების არსებობას დაადასტურებდა. ხოლო როცა შიმპანზემ რაღაც მკაცრი ბრძანება გასცა გორილების მიმართ, მე გიჟურმა აზრმაც კი გამიელვა - აი, ახლა გალია გაიხსნება და მე ბოდიშის მოხდით გამათავისუფლებენ! ვაი, რომ ეს აზრადაც კი არ მოსვლია არავის. ერთ-ერთმა დარაჯმა ჯიბეები მოიქექა, საიდანაც რაღაც თეთრი კუბი ამოიღო და თავის უფროს ქალბატონს გადასცა. ამ უკანასკნელმა კი საოცრად თბილი და მეგობრული ღიმილით ეს კუბი ხელში ჩამიდო.

ეს შაქრის ნატეხი იყო!

შაქრის ნატეხი! ოცნებით სულ სხვა რამ მქონდა წარმოდგენილი და ამ ქმედებამ საოცარი იმედგაცრუება გამოიწვია ჩემში. ეს დამამცირებელი წყალობა იმდენად ამაზრზენად მეჩვენა, რომ ლამის სახეში ვესროლე გაღიმებულ შიმპანზეს. მაგრამ დროზევე გამახსენდა, რაც საკუთარ თავს შევფიცე და ნერვები დავიოკე. ავიღე შაქარი და ღრღნა დავუწყე, ოღონდ ვცდილობდი ესეც გონივრულად გამეკეთებინა.

ასე შედგა ჩვენი ნაცნობობა. მდედრ შიმპანზეს, როგორც მოგვიანებით გავიგე, ერქვა ზირა. იგი იყო იმ განყოფილების გამგე, სადაც მე მომათავსეს. მიუხედავად იმედგაცრუებისა, მე სათანადოდ შევაფასე მისი გონიერება და დავიტოვე იმის იმედი, რომ მომავალში მაინც შევძლებდი მასთან კონტაქტის დამყარებას.

ზირა დიდხანს ესაუბრებოდა დარაჯებს და, როგორც მივხვდი, ჩემთან დაკავშირებით საგანგებო მითითებებს აძლევდა. შემდეგ იგი სიღრმისაკენ წავიდა, რათა სხვა ტყვეები დაეთვალიერებინა.

შიმპანზე დიდხანს ათვალიერებდა ახლადმოყვანილ ადამიანებს და თითოეული მათგანის შესახებ რაღაც შენიშვნებს იწერდა და, რა თქმა უნდა, არცერთ მათგანთან ახლოსაც კი არ მიდიოდა. რომ მიახლოებოდა, მე, ალბათ, ეჭვის გრძნობაც კი გამიჩნდებოდა. ჩემთვის საკმაოდ საამო იყო იმის შეგრძნება, რომ პრივილეგირებული პატიმარი ვიყავი და შიმპანზეს განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ მე ვიმსახურებდი. და როცა ზირა ბავშვების გალიასთან შედგა და მათაც შაქრის ნატეხები გადაუყარა, მეც ისეთივე მრისხანება დამეუფლა, როგორც ნოვას, რომელიც ჩემი და ზირას ურთიერთობის ხილვისას აგრესიულად აღრჭენდა კბილებს და ბოლოს გალიის კუთხეში ჩვენთან ზურგშემოქცეული მიიყუჟა.



## მეთოთხმეტე თავი

მეორე დღემაც ისევე ჩაიარა, როგორც პირველმა. მაიმუნები ყურადღებას არ მაქცევდნენ და მხოლოდ საჭმელი მოჰქონდათ. მე ვცდილობდი გამეგო, მაგრამ ვერაფერი მომეაზრებინა იმის შესახებ, თუ ამ უცნაურ დაწესებულებას რა დანიშნულება ჰქონდა. მესამე დღეს კი ჩვენთან მთელი რიგი ტესტების ჩატარება დაიწყეს, რომელთა გახსენებისას დღემდე დამამცირებელ შეგრძნებას განვიცდი. თუმცა მაშინ ამ ტესტებმა, სხვა თუ არაფერი, მცირეოდენ მაინც გამართეს.

პირველი ტესტი დასწყისში ძალზედ სულელურად მომეჩვენა. ერთ-ერთი დარაჯი გორილა მომიახლოვდა, მეორე კი მოპირდაპირე გალიასთან გაჩერდა. ჩემი დარაჯი ერთი ხელით ზურგსუკან რაღაცას მალავდა, მეორეში კი სასტვენი ეჭირა. გორილა დიდხანს მიყურებდა, რომ ჩემი ყურადღების კონცენტრირება მოეხდინა, მერე სასტვენი პირთან მიიტანა და თითქმის ერთი წუთის განმავლობაში ყურისწამღებად უსტვინდა. შემდეგ გორილამ საგანგებოდ ნელა წამოიღო წინ მეორე ხელი და მასში ის ბანანისმაგვარი ნაყოფი შევნიშნე, რაც სორორელი ადამიანების საყვარელი საკვები იყო. დარაჯს ჩემსკენ ჰქონდა ბანანი მოშვერილი და ყურადღებით მითვალთვალებდა.

მე ხელი გავიშვირე ბანანის გამოსართმევად, მაგრამ გორილა მოშორებით იდგა და ნაყოფს ვერ მივწვდი. როგორც ჩანს, იგი ჩემგან სხვა რეაქციას ელოდა და მე იმედი გავუწბილე. მცირე ხნის შემდეგ მან ბანანი ისევ ზურგსუკან დამალა და კვლავ სტვენა დაიწყო. მე ვღელავდი, ამ კომედიის აზრს ვერ ვწვდებოდი და ლამის კვლავაც დამეკარგა მოთმინება, როცა დარაჯმა ხელმეორედ გამოიშვირა ბანანი და ისეთ მანძილზე შეაჩერა, რასაც ვერ მივწვდებოდი. ძლივსძლივობით შევიკავე თავი და გონების მოკრებას შევეცადე. აშკარა იყო, რომ დარაჯი რაღაცის მიღწევას ცდილობდა, რადგან ყოველი მორიგი რიტუალის ჩატრებისას მისი გაოცება სულ უფრო მატულობდა - ესე იგი მე ისე არ ვიქცეოდი, როგორც მათს წარმოდგენაში ადამიანი უნდა მოქცეულიყო. მთელი ეს ცერემონია დარაჯმა ექვსჯერ თუ შვიდჯერ ჩაატარა და ბოლოს იმედგაცრუებულმა მეზობელ გალიასთან გადაინაცვლა.

მე გავოცდი, როცა დავინახე, რომ ჩემმა მეზობელმა პირველი მცდელობის შემდეგვე მიიღო ბანანი. ყურადღებით დავაკვირდი მეორე გორილას, რომელიც იგივე ტესტს ატარებდა მოპირდაპირე გალიებთან. დარაჯი ამჯერად ზუსტად ნოვას გალიასთან იდგა და მე ყველა დეტალი დავინახე იმისა, რაც დარაჯმა და ნოვამ მომიმოქმედეს. დარაჯმა დაუსტვინა და ქალს ბანანი აუთამაშა. ნოვა აკანკალდა, ყბები აუცახცახდა და...

თვალის დახამხამებაში ჩემთვის ყველაფერი გაცხადდა. ნოვამ, ამ სხივმოსილმა არსებამ, ტკბილი ნაყოფის ხილვისას პირი გააღო და იქიდან უხვად გადმოაფრქვია ნერწყვი ისევე, როგორც პატარა მშიერ გოშიას სჩვევია ხოლმე შაქრის ნატეხის დანახვაზე. სწორედ ამას აღწევდა დარაჯიც და ნოვას ხელში ბანანი რომ ჩაუდო, იგივე ექსპერიმენტის ჩასატარებლად გვერდით გალიასთან გადაინაცვლა.

ასე რომ ყველაფერი გავიგე და ამან სიამაყის გრძნობაც კი მომგვარა! თავის დროზე ბიოლოგიას ვსწავლობდი და პავლოვის ნაშრომებსაც გავეცანი. მივხვდი, რომ აქ ადამიანების რეფლექსებს სწავლობდნენ ისევე, როგორც პავლოვი ცდილობდა ამის გაკეთებას ძაღლებზე დაკვირვებით. მე, რა თქმა უნდა, იმედი გავუწბილე დამკვირვებლებს! სამაგიეროდ ახლა უკვე გავიაზრე ამ ექსპერიმენტების დანიშნულება და იმის გარკვევაც შემეძლო, თუ რა მოჰყვებოდა მას. რაოდენიმე დღის განმავლობაში მაიმუნები იგივე ქმედებას ჩაატარებდნენ: დაიწყებდნენ სტვენას, მერე რამე ტკბილს დაანახებდნენ ექსპერიმენტის ობიექტს, რათა მათი ნერწყვდენა გამოეწვიათ და საბოლოოდ ადამიანებს სასტვენის დანახვაზევე დაეწყებოდათ ნერწყვდენა ანუ, მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, მათ გამოუმუშავდებოდათ პირობითი რეფლექსი.

ჩემმა მიხვედრილობამ თავადვე აღმაფრთოვანა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო - საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ეს ყველაფერი მეც მესმის. როცა დარაჯმა გორილამ ყველა გალია შემოიარა, უკან წამოვიდა და მე მისი ყურადღების მიპყრობას შევეცადე. გალიის გისოსებს თავს ვახლიდი, ხელებს ვიქნევდი და პირს ვუღებდი მას მანამ, სანამ მან კვლავ არ ინება ექსპერიმენტის განმეორება. და მაშინ მე პირველივე დასტვენის შემდეგ, ვიდრე იგი ბანანს დამანახებდა, დავიწყე გაშმაგებით და ნიშნის მოგებით ნერწყვის ყლაპვა; მე, ულის მერუ, მთელი ჩემი არსებით ვცდილობდი ნერწყვი დამენახვებინა გორილასათვის, თითქოს ამაზე ჩემი სიცოცხლე იყო დამოკიდებული. აი, ასეთი აღტაცებითა და შთაგონებით ვცდილობდი ჩემი გონიერების დემონსტრირებას!

და მართლაც ჩემს დარაჯს გაოცება დაეტყო სახეზე. მან თანამეწყვილეს უხმო და მათ წინანდელი დღესავით ხანგრძლივი თათბირი გააბეს. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რაზე ბაასობდნენ ეს გონებაჩლუნგები: აი, ადამიანი, რომელსაც მცირე ხნის წინ არანაირი რეფლექსი არ გააჩნდა და უცებ, გაურკვეველი მიზეზებისა გამო, პირობითი რეფლექსი გამოუმუშავდა. არადა, სორორელ ადამიანებში ამგვარი რეფლექსის გამოსამუშავებლად დიდი დრო და მოთმინებააო საჭირო.

მართალი რომ გითხრათ, ეს გულუბრყვილო ბრიყვები შემეცოდა კიდეც. მათი სუსტი გონება არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ერთ რამე დასკვნამდე მისულიყვნენ: ამგვარი პროგრესი აიხსნება ერთადერთი მიზეზით - ესე იგი ექსპერიმენტის ობიექტს გონიერება გააჩნია. დარწმუნებული ვიყავი, რომ ზირა მათს ადგილზე ყველაფერში გაერკვეოდა.

თუმცა მთელმა ჩემმა სიბრძნემ და ზედმეტმა შთაგონებამ ის შედეგი არ მოიტანა, რასაც არ ველოდი. გორილები ისე წავიდნენ, რომ ბანანი არ მომცეს, ჩემმა დარაჯმა თავად შესანსლა ჩემი კუთვნილი ხილი. ან რისთვის უნდა გავენებივრებინე, თუკი მისმა ექსპერიმენტმა ჯილდოს გარეშეც სათანადო შედეგი გამოიღო.

მეორე დღეს გორილები სხვა ხელსაწყოებით აღჭურვილნი მოვიდნენ. ერთს მანზალაკები მოჰქონდა, მეორე კი ურიკას მოათრევდა, რაზედაც რაღაც აპარატი იყო დამაგრებული. ამჯერად უკვე ვიცოდი, რა სახის ექსპერიმენტსაც ჩაატარებდნენ და ამ საგნების დანიშნულებაში მანამდე გავერკვიე, სანამ მათ გორილები აამოქმედებდნენ.

მათ საქმე ნოვას გვერდით მყოფი მაღალი, თვალებჩაბნელებული ყმაწვილისაგან დაიწყეს. ეს ყმაწვილიც ჩვენსავით გისოსებზე იყო ჩაბღაუჭებული და გორილებისკენ იყურებოდა. პირველმა გორილამ ზარის რეკვა დაიწყო, რასაც საკმაოდ დაბალი ხმა ჰქონდა, ამასობაში მეორემ აპარატის სადენები გალიაზე მიამაგრა. როცა ზარის ხმა შეწყდა, მეორე გორილამ აპარატის სახელური გადაატრიალა, რამაც ნოვას მეზობელი ყმაწვილი ელდანაკრავივით მოსწყვიტა რკინის გისოსებს და საბრალოდ ააყმუვლა.

ეს ცდა იმავე ყმაწვილზე რამოდენიმეჯერ გაიმეორეს, ცდის დაწყებამდე კი ექსპერიმენტის ობიექტს ბანანს აჩვენებდნენ და აიძულებდნენ გალიის გოსოსებს ჩაბღაუჭებოდა. ამგვარი ცდის მიზანი ჩემთვის კარგად იყო ცნობილი: გორილები ცდილობდნენ ყმაწვილისთვის ახალი პირობითი რეფლექსი გამოემუშავებინათ, რათა იგი გალიის სიღრმეში გაქცეულიყო ზარის ხმის გაგონებისთანავე მანამ, სანამ ელექტრული ძალის დარტყმას იგრძნობდა. მაგრამ იმ დღეს გორილებმა სასურველი შედეგის მიღწევა ვერ შეძლეს, ამ ყმაწვილის ფსიქიკა თითქმის განუვითარებელი იყო და ამას არაფრით შეეძლო დაედგინა კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის.

მე ჩემი რიგის დადგომას ველოდი და შინაგანად დავცინოდი ამ ვაი

ექსპერიმენტატორებს. ერთი სული მქონდა მეჩვენებინა მათთვის, თუ რა სხვაობაა ინსტინქტსა და გონიერებას შორის. როგორც კი ზარი აწკრიალდა, მე მაშინვე ვუშვი ხელი გისოსებს და უკან დავიხიე. ამასთან ერთად ვუყურებდი გორილებს და დამცინავად ვუღიმოდი მათ. დარაჯები მოიღუშნენ. ახლა ისინი ველარ დამცინოდნენ.  მგონი, მათაც მშვენივრად იგრძნეს, რომ ახლა მე ვამასხარავებდი მათ.

მიუხედავად ამისა, მათ მაინც განაგრძეს ექსპერიმენტი, მაგრამ ახალწვეულთა გამოჩენამ ხელი შეუშალა მათს საქმიანობას.

## მეთხუთმეტე თავი

დერეფანში სამი არსება გამოჩნდა: ზირა და ორი სხვა მაიმუნი, რომელთაგან ერთი, როგორც ჩანს ძალზედ დიდი უფროსი იყო. ეს მამრი ორანგუტანი გახლდათ, პირველი ორანგუტანი, რომელიც სორორაზე ვნახე. ის სიმაღლით გორილაზე დაბალი იყო და წელშიაც საკმაოდ მოხრილი გახლდათ. ამ ორანგუტანს იმდენად გრძელი ხელები ჰქონდა, რომ სიარულისას ხშირად მიწაზედაც აყრდნობდა, რასაც არცერთი სხვა სორორელი მაიმუნი არ აკეთებდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ იგი ორ ჯოხზე დაყრდნობილი მოძრაობდა. მისი მხრებში ჩავარდნილი თავი ქღალი ბალანით იყო დაფარული, დრუნჩზე კი ბებერი პედანტის გაქვავებული იერი აღბეჭდვოდა. მთელი თავისი არსითა და მიხრამოხრით ეს ორანგუტანი წლებით დამძიმებული დარბაისელი ღვთისმსახურივით გამოიყურებოდა. კოსტუმიც ყველასაგან განსხვავებული ეცვა, ეს იყო კარგახნის გაუწმენდავი შავი რედინგტონი, რომელსაც ალისფერი ვარსკვლავი ამშვენებდა, ქვემოთ კი ასევე მტვრით გატენილი თეთრზოლიანი შავი შარვალი მოუჩანდა.

ორანგუტანს პატარა ტანის მდედრი შიმპანზე მოსდევდა, რომელსაც ხელთ მძიმე პორტფელი ეჭირა. მისი ქცევიდან გამომდინარე ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ იგი ორანგუტანის მდივანი გახლდათ.

ამ სტრიქონების მკითხველს, ალბათ, აღარ აღიზიანებს, რომ ყოველი ახალი პერსონაჟი ქცევისა და სახის გამომეტყველების აღწერას ვცდილობ. ვფიცავ, რომ ნებისმიერი დედამიწელი ამ წყვილში ღრმადპატივცემულ მეცნიერსა და მის ხელქვეით მდივანს შეიცნობდა. მათმა გამოჩენამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ სორორელ მაიმუნებს შორის არის საკმაოდ მძლავრი იერარქია. ზირაც მეტისმეტი მოკრძალებით ეპყრობოდა ამ ახლადმოვლენილ მოგვს. დარაჯმა გორილებმა კი უმალ ანებეს თავის საქმიანობას თავი და მათს შესახვედრად ლამის მიწაზე განრთხმულნი გაემართნენ. ორანგუტანმა კი მხოლოდ მოწყალების ნიშნად ოდნავ დაუქნია გორილებს თათი.

სტუმრები უმალ ჩემი გალიისაკე გამოეშურნენ. და ეს არცაა გასაკვირი - მე ვიყავი ყველაზე საინტერესო ექსპონატი ახალ ტყვეებს შორის. მაღალჩინოსან არსებებს მე გულღია ღიმილით დავხვდი და თითქმის გაზუთხული ტექსტით მივესალმე:

- ძვირფასო ორანგუტანო! - წარმოვთქვი მე - შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვარ, რომ ბოლოსდაბოლოს შევხვდი არსებას, რომელიც სიბრძნითა და გონიერებითაა აღვსილი. მე მჯერა, რომ ჩვენ ერთმანეთს კარგად გავუგებთ.

„ძვირფასი ორანგუტანი“ კი ჩემი ხმის გაგონებისთანავე ნაკბენივით შეხტა. შემდეგ მან ყურის ფხანა დაიწყო და თან ჩემს გალიას ყურადღებით ათვალიერებდა, თითქოს იქ რაიმე მისტიფიკაცია ბუდობდა. შემდეგ მას ზირა გამოელაპარაკა და დიდხანს უკითხავდა თავის ბლოკნოტში გაკეთებულ ჩანაწერებს ჩემი ქცევის შესახებ. ზირა ცდილობდა რაღაცაში დაერწმუნებინა ორანგუტანი, მაგრამ მას არაფრის გაგონება არ სურდა. რამოდენიმეჯერ შეაწყვეტინა მან ზირას სენტენციები, თან მხრებს იჩეჩავდა, თავს აქნევდა და ბოლოს ზურგზე შემოიწყო თათები, გალიის წინ ბოლთის ცემა დაიწყო და დროდადრო ჩემსკენ ეჭვნარევ მზერასაც ისროდა. დანარჩენი მაიმუნები კი გაიყურსნენ და ორანგუტანის გადაწყვეტილებას გაშეშებულნი ელოდნენ.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს პატივისცემა მხოლოდ გარეგნულად შეიმჩნეოდა. მე კარგად დავინახე, რა გრიმასებსაც უცვლიდნენ ერთმანეთს დარაჯი გორილები და მივხვდი, რომ გულის სიღრმეში დასცინოდნენ შეფ-ორანგუტანს. გასაგები გახდა, რომ ორანგუტანის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება არსებობდა და მეც გადავწყვიტე ერთი სცენის გათამაშება, რათა როგორმე მასაც ღირსეულად დაეფასებინა ჩემი გონიერება. მეც შემოვიწყე ზურგზე ხელები და ორანგუტანივით მოღუშულმა და ჩაფიქრებულმა გალიაში ბოლთის ცემა დავიწყე.

გორილები კინაღამ სიცილით გაიგუდნენ, მდივანმა ქალმა პორტფელში ჩაყო დრუნჩი და სიცილის ძლივს იკავებდა, თვით ზირასაც გაუბრწყინდა თვალები და ჩემს ოხუნჯობას აღტაცებული შესცქეროდა. ჩემი იმპროვიზირების უნარმა მეც კარგ გუნებაზე დამაყენა და ვერც-კი წარმოვიდგენდი, რომ ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. ორანგუტანმა ჩემი მიმიკა შენიშნა და სახეზე მძვინვარება გამოეხატა. ორანგუტანის მიერ წარმოთქმულმა რამოდენიმე მკაცრმა ფრაზამ წესრიგი უმალ აღადგინა, შემდეგ იგი ჩემი გალიის წინ შეჩერდა და მდივანს რაღაცის კარნახი დაუწყო.

ეს პროცესი საკმაო ხანს გაგრძელდა, რასაც დროდადრო მრავალაზროვანი პაუზები წყვეტდა.

მე ძალიან მალე მომბეზრდა ამ ორანგუტანის თვითკმაყოფილი სიბრიყვე და გადავწყვიტე კვლავ გამომემჟღავნებინა ჩემი შესაძლებლობანი. მისკენ ხელი გავიშვირე და მარცვალ-მარცვალ წარმოვთქვი ორი სიტყვა:

- მი ზაიუს!

მე დავაფიქსირე, რომ ყველა ხელქვეითი ორანგუტანს ამ სიტყვებით მიმართავდა, მოგვიანებით კი გავიგე, რომ „ზაიუსი“ ამ განსწავლული მაიმუნის სახელი იყო, ხოლო „მი“ - მისი საპატივცემლო ტიტული.



მაიმუნებმა გაოცებისაგან ხახა დააფჩინეს; ახლა მათ სასაცილოდ აღარ ჰქონდათ საქმე, მით უმეტეს ზირას, რომლისკეაც თითი გავიშვირე და იმავე შთაგონებით წარმოვთქვი:

- ზირა!

ეს სიტყვაც დაფიქსირებული მქონდა და ვხვდებოდი, რომ ის საკუთარ სახელს ნიშნავდა და სხვას არაფერს.

რაც შეეხება ზაიუსს, იგი საბოლოოდ გამოვიდა მწყობრიდან და გალიებს შორის სირბილი დაიწყო. ბოლოს, როგორც იქნა, მოიკრიბა გონიერება და ბრძანება გასცა, რომ ჩემთვის უკვე ნაცნობი ექსპერიმენტები მისი თანდასწრებით ჩაეტარებინათ. მე სიამოვნებით დავყევი ამ ნებას. რაწამს სასტვენის ხმას გავიგებდი, უმალ ნერწყვს ვყლაპავდი. ზარის დაწკრიალებისთანავე გალიის გისოსებს ვშორდებოდი; ეს მეორე ექსპერიმენტი ზაიუსმა გორილებს ათჯერ გაამეორებინა და გამუდმებით რაღაც შენიშვნებს კარნახობდა მდივან შიმპანზეს.

მე არც ეს ვაკმარე მეცნიერ-ექსპერიმენტატორებს, სულ უკანასკნელად ზარი რომ ააწკრიალეს, მშვიდად მივედი სადენებთან, რითაც ელექტრობა გისოსებზე გადადიოდა, მოვხსენი ისინი და ორანგუტანს ფერხთით დავუყარე. ამის შემდეგ მშვიდად ჩავჭიდე გისოსებს ხელი და ღრმად პატივცემულ მეცნიერს თვალი თვალში გავუყარე.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

**ამავე ნომრის პასუხები. რეიტინგი** (1-ლი გვ.) 1. სიმენსი. 2. აჯიაშვილი. 3. კროკო. 4. ფუნაი. 5. გინზბურგი. 6. კრონინი. 7. სინჯარა. 8. კურიერი. 9. ჭრაქი. 10. მარმელადი. 11. ბეტანკური. 12. კარამზინი. 13. ლიეპა. 14. ქსოვა. 15. აქსიომა. 16. ტურნე. 17. მხილება. 18. სეინერი. 19. გლეხი. 20. სპილბერგი. 21. კვინიხიძე. 22. ფლავი. 23. იდენი. 24. პურმარილი. 25. აბადი. 26. კვირიკაძე. 27. ბურბონები. 28. ხროვა. 29. ჭოპორტი. 30. მძორი. 31. აპოლონი. 32. მოემი. 33. ცხადაძე. 34. გრიპი. 35. აკურა. 36. ატრია. 37. კოტრიკაძე. 38. პროტოკოლი. 39. სტალერი. 40. ძინძინი.

**გარკვეული ობიექტური ხელისშემშლელი პირობების გამო, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვახერხებთ ჩვენი გაზეთის შაბათის გამოშვების გამოცემას.**

**ჩვენს განცხადებას ინგლისური და რუსული ენების მცოდნეებთან თანამშრომლობის შესახებ მრავალი თქვენგანი გამოეხმაურა და სათანადო კანდიდატურებიც შევარჩიეთ. მადლობას გიხდით ყურადღებისა და თავაზიანობისათვის!**

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | 6 | | 7 | | 3 | | 6 | | 8 | | 9 | |
| 10 | 11 | 8 | 12 | 13 | 6 | | 4 | 7 | 16 | 6 | 12 | 14 | 4 | 6 |
| | 6 | | 14 | | 15 | | 12 | | 17 | | 4 | | 18 | |
| 11 | 19 | 5 | 21 | 1 | 4 | | 6 | 20 | 21 | 1 | 22 | 2 | 17 | 4 |
| | 13 | | 1 | | 12 | | 3 | | 1 | | 6 | | 2 | |
| 15 | 4 | 1 | 15 | 13 | 21 | 16 | 4 | | 6 | 7 | 16 | 4 | | |
| | 16 | | 4 | | 23 | | 12 | | 24 | | 8 | | 6 | |
| 31 | 4 | 6 | | 1 | 21 | 25 | 6 | 12 | 4 | | 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | 30 | | 16 | | | | 6 | | 4 | | 7 | |
| 20 | 6 | 1 | 6 | 14 | 4 | 33 | 11 | 6 | | | | 29 | 21 | 6 |
| | 12 | | 11 | | | | 6 | | 26 | | 27 | | 7 | |
| 22 | 2 | 11 | 23 | 4 | 12 | 6 | 24 | 4 | 6 | | 28 | 1 | 8 | |
| | 12 | | 6 | | 4 | | 6 | | 12 | | 6 | | 6 | |
| 8 | 7 | 6 | 32 | 8 | 1 | 4 | | 8 | 33 | 8 | 12 | 8 | 1 | 4 |
| | 4 | | 4 | | 4 | | | | 4 | | 4 | | 4 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | რ | 18 | |
| 2 | ო | 19 | |
| 3 | ქ | 20 | |
| 4 | ი | 21 | |
| 5 | | 22 | |
| 6 | | 23 | |
| 7 | | 24 | |
| 8 | | 25 | |
| 9 | | 26 | |
| 10 | | 27 | |
| 11 | | 28 | |
| 12 | | 29 | |
| 13 | | 30 | |
| 14 | | 31 | |
| 15 | | 32 | |
| 16 | | 33 | |
| 17 | | | |


ჩვენი პლანეტის (პატარა) ქალები

## გინესების რეკორდების წიგნი
## თამაშები. ჭადრაკი.

### ყველაზე აქტიური მსოფლიო ჩემპიონი
ანატოლი კარპოვი

ანატოლი კარპოვი წელიწადში საშუალოდ 45,2 პარტიას თამაშობდა 1975-85 წლებში. 26 ტურნირში მან პირველი ადგილი დაიკავა.

### ყველაზე ნელი სვლა
ლუის პოლსენი

ყველაზე ნელი სვლა (დროის კონტროლის შემოღებამდე) დაფიქსირებულ იქნა ამერიკის პირველ საჭადრაკო კონგრესზე, ნიუ-იორკში, 1857 წლის 29 ოქტომბერს. სვლა გააკეთა ლუის პოლსენმა (გერმანია) პოლ მორფის (აშშ) წინააღმდეგ. ეს იყო პარტიის 56-ე სვლა. პარტია მთლიანად 15 საათს გაგრძელდა, ამ ერთ სვლას კი პოლსენმა 11 საათის ფიქრი მოანდომა.

### ყველაზე ნელი სვლა
ფრანცისკ ტორეს ტროისი

ყველაზე ნელი სვლა (დროის კონტროლის შემოღების შემდეგ) გააკეთა ფრანცისკ ტორეს ტროისმა ლუის სანტოსის წინააღმდეგ გამართულ პარტიაში, რომელიც ესპანეთის ქალაქ ვიგოში შედგა 1980 წელს. ამ სვლის მოფიქრებას ტროისმა 2420 წუთი მოანდომა.

### ყველაზე მეტი სვლა
ივან ნიკოლიჩი

ყველაზე მეტი - 269 - სვლა გააკეთა ივან ნიკოლიჩმა გორან არსოვიჩის წინააღმდეგ გამართულ პარტიაში 1989 წლის 17 თებერვალს, ბელგრადში (იუგოსლავია).

## კროსვორდები

### კროსვორდის ყველაზე სწრაფი შევსება
როი დინი

როი დინმა 3 წუთსა და 45 წამში შეავსო მთლიანად გაზეთ „ტაიმის“ კროსვორდი ბი-ბი-სი-ს სტუდიაში, 1970 წლის 19 დეკემბერს.

### კროსვორდის ყველაზე სწრაფი შევსება
ჯონ საიკე

ჯონ საიკემ 10-ჯერ მოიგო Times/Collins Dictionaries-ის ჩემპიონატი 1972-90 წლებში. მისი რეკორდული შედეგი იყო 4 წუთი და 28 წამი 1989 წელს.

### ყველაზე დიდი კროსვორდი
რობერტ ტალკოტი

1982 წელს რობერტ ტალკოტმა (კანადა) შეადგინა 82 951 უჯრედისაგან შემდგარი კროსვორდი. ის შედგებოდა თარაზულად 12 489 და შვეულად 13 125 სიტყვისაგან; ზომა - 3,55 კვ. მ.

### კროსვორდების ყველაზე ნაყოფიერი შემდგენელი
როჯერ სკვაერსი

როჯერ სკვაერსი კვირაში საშუალოდ 38 კროსვორდს ადგენდა. 1999 წლის მაისისათვის მას უკვე 48 000 კროსვორდი ჰქონდა შედგენილი.

## ომარ ხაიამის რობაიები

81
წუთისოფლის სივაგლახით მხოლოდ იგი მოისრა,
ვინც ცხოვრება დარდებით და მწუხარებით მონისლა;
მაშ, დავცალოთ ღვინით სავსე ფიალები ბროლისა,
სანამ კვდომის, სანამ ნგრევის და მსხვრევის ხმა მოისმა.
82
გაზაფხულზე, როცა იცვამს ფერად-ფერად კაბებს ია
და ვარდებსაც დილის ცვარი მძივებივით გადაჰყრია,
სახელი აქვს იმას კაცის, ვინც ლხინსა და ქეიფს გვაცლის,
ვინც ღვინო სვა და ფიალა უდარდელად დაამსხვრია.
83
ღვინო მასვით, ბედისწერამ სანამ გამატიალა
და არყოფნის ბილიკებზე კენტად მახეტიალა;
ჟამთასრბოლამ მტვრად აქცია ბევრი თვალებცქრიალა
და მოზილა ასი დოქი და ათასი ფიალა.
84
მართალ გზაზე იდგა იგი, ვინც განიგდო გულის ურვა
და სულ ლხინში, სულ ქეიფში, სულ ღვინოში სურდა ცურვა
ვინც იმაზე არ ინაღვლა, ზეცა არის შვიდი თუ რვა,
იცხოვრა და ფუჭი საქმე არასოდეს მოისურვა.
85
მე ჯერ არ ვიცი, ჩემს სულზე ვინ ბატონობს და ვისია,
წყეული ჯოჯოხეთის თუ ტურფა სამოთხის ღირსია?!
ბარბითის კვნესა, ღვინის სმა, სატრფოს ალერსი მდელოზე,
ჩემთვის ეს სამი ნაღდია, ის სამოთხე კი - ნისია.

მთარგმნელი ალ.ელერდაშვილი

17

## სპარსული სიტყვები ქართულ ენაში

76. **დაღესტანი** - კავკასიის ამ რეგიონს ქართველები, ბუნებრივია, ოდესღაც სხვაგვარად მოიხსენიებდნენ.

77. **დახლი** - ახლა ნაკლებად იხმარება, მაგრამ ოდესღაც ყველას პირზე ეკერა (შემორჩა გამოთქმაში - „კარგი დახლი დაგიდგება“-ო)

78. **დახლიდარი** - უკვე ვიცით, რომ „-დარ“ ბოლოსართი „მქონეს“ ნიშნავს.

79. **დევი** - ეს სიტყვა სპარსელთათვის ზოგადად ავსულს ნიშნავს.

80. **დერვიში** - მოხეტიალე კაცი. ამ სიტყვის სპარსულობა უჩვენოდაც მოგეხსენებათ.

81. **დოვლათი** - ადრე უკვე ვთქვით, „დოვლათი“ სპარსელთათვის სახელმწიფოს ნიშნავს.

82. **დოლი** - „დოჰოლ“ - ამბობენ სპარსელები.

83. **დოლაბი** - „დო“ - ორი, „ლაბ“ - ტუჩი, ბაგე.

84. **დოსტი** - მეგობარი.

85. **დოსტაქანი** - დიდი სასმისი. სხვათა შორის, რუსული „სტაკან“ ამ სიტყვიდან წარმოდგა.

86. **დრაჰკანი** - ოქროს ფული.

87. **დროშა** - სპარსელები ასე წარმოთქვამენ - „დერაფშ“.

88. **დოგმა** - ახლა სადუგმე სამოსი აღარ არსებობს და ამ სიტყვასაც აღარ ვხმარობთ.

89. **დუდუკი** - ალბათ, არც ამ სიტყვის „იქაურობაში“ გეპარებათ ეჭვი.

90. **დურბინდი** - „დურ“ - შორს, „ბინ“ - ხედვა.

91. **დუქანი** - მალე ეს სიტყვა, რომელიც ოდესღაც ასევე პირზე ეკერათ, აღარავის ეხსომება.

92. **დუქარდი** - მეცხვარეების მაკრატელი. „დო“ - ორი, „ქარდ“ - დანა.

93. **დუშეში** - ორი ექვსიანი („შეშ“ - ექვსია).

94. **დუშმანი** - მართლაც შენი ენის დუშმანი უნდა იყო, უცხო ენიდან ამდენი სიტყვები რომ შემოიტანო.

95. **ექიმი** - „ჰაქიმ“ ზოგადად ბრძენს ნიშნავს, ჩვენ კი მხოლოდ სამედიცინო დანიშნულება მივაკუთვნეთ ამ სიტყვას.

96. **ეშხი** - „ეშყ“ სპარსულად სიყვარულს ნიშნავს.

97. **ვაზირი** - ამ სიტყვას დღესაც ხმარობენ ირანელები „მინისტრის“ აღსანიშნავად.

98. **ვარდი** - ვერც ამ ყვავილის ქართული სახელი შევინარჩუნეთ.

99. **ვარჯიში** - სხვაობა ისაა, რომ ირანელები „ჯ“-ს ნაცვლად „ზ“-ს ამბობენ.

100. **ვახშამი** - აქ ორი სიტყვაა „ვაყთ“ - დრო და „შამ“ - სამხარი.

101. **ველური** - სპარსულ „ველ“-ს (უკაცრიელი, უდაბური) ჩვენი ბოლოსართი დაერთო.

102. **ვერანა** - „ვირანე“ - დანგრეული

103. **ზანდუკი** - „სანდუყ“ ყუთია.

104. **ზარი** - შიშის მნიშვნელობით.

105. **ზარალი** - ჩვენთან დისიმილაცია მოხდა და ორი „რაედან“ ერთი გადაკეთდა.

106. **ზარბაბი** - აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი.

107. **ზარბაზანი** - „ზარბა“ (ძალა)-„ზან“ (დამრტყმელი).

108. **ზარნიში** - „სარ“ - თავი, „ნიშ“ - ნიშანი“ (სარ კიდევ გვხვდება: გორგასალ-ი, სარ-ქალი).

109. **ზარფუში** - „სარ (თავი)-ფუშ (დახურვა)“.

110. **ზარხოში** (შეზარხოშება) - „სარხოშ“ ორივე სიტყვა უკვე ცნობილია თქვენთვის.

111. **თათბირი** - „თადბირ“ ამბობენ სპარსელები თითქმის იმავე მნიშვნელობით, როგორც ჩვენ.

გავუფრთხილდეთ ქართულ ენას!!!

# მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფული

37. **პესო** (=100 სენტავოს) - კუბის ფულის ერთეული.

1959 წლამდე აშშ-ს დოლართან იყო გათანაბრებული და თავისუფლად იცვლებოდა მასში.

38. **პესო** (=100 სენტავოს) - მექსიკის ფულის ერთეული.

სახელში ასახულია ის ფაქტი, რომ ესპანელები ამერიკის კონტინენტის დაპყრობილ ტერიტორიებზე ვერცხლის ფილებს თანაბარ ნაწილებად - „პესოდ“ - ყოფდნენ და ფულის სანაცვლოდ ხმარობდნენ. XVI-XVII საუკუნეებში მექსიკაში გამოშვებულ იქნა უზარმაზარი რაოდენობა ე.წ. „სახომალდო“ პესოსი, ანუ უხეშად დამუშავებული არასწორი ფორმის მონეტები, რასაც შემდგომ ევროპაში სრულუფლებიანი ფულის შესაქმნელად ხმარობდნენ. 1537-1888 წლებში მექსიკასა და ესპანეთში სულ სამ მილიარდზე მეტი პესო იქნა გამოშვებული.

39. **რუპია** (=100 პაისს) - ინდოეთის ფულის ერთეული.

სანსკრიტის ენაზე „რუპია“ ნაჭედ ვერცხლს ნიშნავს. ამგვარი ფული თავის სათავეს იღებს იმპერატორ აქბარ I-ისაგან (1556-1605). მონეტებს ჭედდნენ 970-ე სინჯის ვერცხლისაგან და 11,5 გრამს იწონიდა; ეს მონეტები ინგლისელთა მიერ განხორციელებულ კოლონიალიზაციამდე იხმარებოდა.

1893 წელს რუპიის გამოშვება შეწყდა და და მისი კურსი ინგლისურ გირვანქა სტერლინგთან გათანაბრდა.

1957 წლიდან ინდურმა ფულმა თავი დააღწია გირვანქა სტერლინგის ბატონობას და თვლის ათობითი სისტემით იქნა გაშვებული ხელახალ ბრუნვაში.

40. **რუპია** (=100 სენას) - ინდონეზიის ფულის ერთეული.

შემოღებულ იქნა 1950 წელს. ბრუნვაშია 100-დან 20 000 ერთეულამდე ღირებულების მქონე ბანკნოტები. ინდონეზიური რუპია არ განეკუთვნება მსოფლიოს ფულად სისტემათა საკვანძო რიცხვს, თუმცა ეს სავსებით კონვერტირებადი ვალუტაა და აშშ-ს დოლართან მიმართებაში საკმაოდ მყარ კურსს ინარჩუნებს.

41. **რუპია** (=100 ცენტს) - სეიშელის ფულის ერთეული.

ბრუნვაშია 5, 10, 20, 50 და 100 ერთეულის შემცველი ბანკნოტები. აშშ-ს დოლართან მიმართებაში საკმაოდ მყარ კურსს ინარჩუნებს.

42. **რუპია** (=100 ცენტს) - შრი-ლანკის ფულის ერთეული.

შემოღებულ იქნა 1973 წლის 1 ივლისს; მანამდე ქვეყნის ფულად ერთეულს ინდური რუპია წარმოადგენდა.

43. **რინგიტა** (=100 სენას) - მალაიზიის ფულის ერთეული.

ბრუნვაში გაშვებულ იქნა 1967 წელს მალაური დოლარის სანაცვლოდ. ამჟამად ბრუნვაშია 5, 10, 20, 50, 100, 500 და 1 000 ერთეულის ბანკნოტები.

44. **რუბლი** (=100 კაპიკს) - ბელარუსის ფულის ერთეული.

ბელარუსის ეროვნულმა ვალუტამ 1996 წლის ოქტომბერში შეცვლა მანამდე არსებული ეროვნული ბანკის ბილეთები, ე.წ. „ზაიჩიკები“. ამ უკანასკნელზე ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ ასახული და ამიტომაც მიიღო ამგვარი მეტსახელი. 1996 წელს გატარებული ფულადი რეფორმის შედეგად კი გამოშვებული იქნა ახალი ფული (ბელარუსულად - „რუბელი“), რომელსაც საკმაოდ კარგი დამცავი სისტემა აქვს და უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული.

45. **სომი** (=100 ტიინს) - ყირგიზეთის ფულის ერთეული.

ბრუნვაში გაშვებულ იქნა 1993 წელს (პირველად მხოლოდ 1, 5 და 20 ერთეულიანი ბანკნოტები მოქმედებდა).

მიუხედავად იმისა, რომ ყირგიზული ფული დამზადებულია დიდ ბრიტანეთში, განსაკუთრებით ხშირია 10 და 20 ერთეულიანი ბანკნოტების ფალსიფიცირება.

46. **სუმი** (=100 ტიინს) - უზბეკეთის ფულის ერთეული.

სუმმა უზბეკეთში 1994 წელს შეცვლა კუპონი. ყველაზე მეტად ხმარებულია 10, 25 და 50 ერთეულის შემცველი კუპიურები. უზბეკური სუმი დაბეჭდილია წყლის ნიშნის მქონე სპეციალურ ქაღალდზე, აღჭურვილია ლითონის დამცავი ლენტითა და მიკროანაბეჭდებით.

47. **ტენგე** (=100 ტიინს) - ყაზახეთის ფულის ერთეული.

ბრუნვაში გაშვებულ იქნა 1993 წელს. დამზადებულია გერმანიაში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე რელიეფური ბეჭდვით.. ბანკნოტებზე გამოსახულნი არიან ყაზახეთის ისტორიისა და კულტურის მოღვაწენი. უმაღლეს ღირებულების ფულად ერთეულს წარმოადგენს 500 ტენგე.




# გასული ნომრის პასუხები

***პირველი გვერდი***:

**თარაზულად**: 1. მევალე. 6. მაკაკა. 9. ფორმოზა. 11. სორბონა. 12. რონალდო. 13. რეგრესი. 14. სტაფილო. 15. ნიორაძე. 16. სედრაქი. 17. ბეკეტი. 20. ნიახური. 21. დალილა. 24. თეოკრიტე. 25. მიმიკა. 28. ლამანში. 29. პოინტერი. 30. რულონი. 31. სანზონა. 32. მისისიპი. 36. ბერეტი. 37. პიკასო. 40. კირენაიკა. 41. მედეა. 44. ნორმანი. 45. ტრინიდადი. 46. დაკია. 47. ნიტრიტი. 48. კანონირი. 49. ამოკი. **შვეულად**: 1. მასისი. 2. ვერსაჩე. 3. ლეონიძე. 4. ტრაგედია. 5. ლოველასი. 6. მარინინა. 7. კონჰობარი. 8. კოლჰაპური. 9. ფაროსი. 10. პოლემიკა. 17. ბრეტონი. 18. კოკანდი. 19. ტაილერი. 21. დელისი. 22. ლემინგი. 23. ლენცოფა. 25. მირაბო. 26. მალარმე. 27. კანოტიე. 32. მაკეტი. 33. სურდინა. 34. სანდინო. 35. პრიმატი. 37. პანინი. 38. კარატე. 39. სტატია. 41. მიდია. 42. დიკლო. 43. აღაპი.

***მესამე გვერდი***: **თარაზულად**: 1. ფარისეველი. 5. ხმალი. 8. კრიშნა. 13. ჯოჯოხეთი. 14. სორტირება. 15. ამტი. 18. გნომი. 19. პანტერა. 20. მდინარე. 25. აბსურდი. 26. უბერებელი. 30. ბაზალეთი. 31. ფაულერი. 32. ანკარა. 35. ზეთი. 36. აბაკანი. 37. სტალი. 38. აბაი. 42. ანდაი. 43. სტეფანე. 44. უტიფარი. 49. გახარებული. 50. ალტაი. 51. ბიუსტი. 54. ეკვატორი. 55. ხაიდარაბადი. 58. ალბატროსი. 59. ესერი. 60. ლალი. 64. ლუდი. 65. მზევინარი. 66. ეგოიზმი. 70. ლიტმანენი. 71. კოპერნიკი. 75. სანეტი. 76. დინოზავრი. 77. სკონტო. 80. კნუტი. 81. ბასტიდასი. 82. ნესი. 86. აურა. 87. ფორინტი. 88. პოლიგლოტი. 92. დეკაბრისტი. 93. კარეუ. 94. სპეცია. 95. კაკაო. 96. მოტოდივიზია. 97. კატა. **შვეულად**: 1. ფიჯი. 2. რეჯინა. 3. სახამებელი. 4. ვითა. 6. მატარებელი. 7. ლორი. 9. შუმერი. 10. არია. 11. კოლტი. 12. აბუ-დაბი. 16. ბარდა. 17. ანილინი. 21. დარბაზი. 22. კუნთები. 23. არარატი. 24. ონტარიო. 27. მზეთუნახავი. 28. ნაფნაფი. 29. ბარბაროსი. 33. სკატოლი. 34. ფლოტი. 39. მაკრატელი. 40. ენალიდი. 41. იფრინდა. 45. აგრესიული. 46. ობერჰაუზენი. 47. მატროსი. 48. სიცილია. 52. შანსონი. 53. აბორიგენი. 56. პროვინცია. 57. შარმი. 61. ადრიანო. 62. არგონავტი. 63. ჰიჩკოკი. 67. სმეტანა. 68. პეტროდვორეცი. 69. ბიზონია. 72. ესმერალდა. 73. კობალტი. 74. ინვესტიცია. 78. ატროფია. 79. ესაია. 83. თრაკია. 84. ბისტრო. 85. კლიპი. 89. აბრა. 90. ბახი. 91. ფაშა.

***მეოთხე-მეხუთე გვერდი***: **თარაზულად**: 1. ფამუსოვი. 4. კალკა. 7. სმეტანა. 10. კრუპიე. 17. გალერა. 18. ტარლინგტონი. 19. გრეიპფრუტი. 22. ჰისტრიონი. 23. კუსტურიცა. 24. ხიტრუკი. 29. პერი. 30. შტუტგარტი. 31. პლატონური. 32. ევრო. 36. ჰაეკი. 37. ფიურერი. 38. ალბერვილი. 43. ტობოსო. 44. ფარში. 45. ლარიონოვი. 46. გიორგი. 50. მაკლორენი. 51. ვერნერი. 52. ალგორითმი. 57. იელი. 58. სტოკჰოლმი. 59. ოპერა. 60. მინდანაო. 64. ბაიკონური. 65. კარლოვივარი. 66. ელჩი. 70. ფლავიუსი. 71. ინტერნეტი. 72. ქრონიკა. 76. ნერონი. 77. საყვარელი. 78. ოტელო. 79. ჰანზა. 84. ბახტრიონი. 85. აპოსტროფი. 86. მორიარტი. 90. მექა. 91. კონსტებლი. 92. დიპლომატი. 93. კალო. 97. ენტროპია. 98. მექსიკელი. 99. ბრონშტეინი. 102. მურმანსკი. 103. მადრიდი. 104. ფერმა. 109. რაპიდი. 110. პრევენცია. 111. პერესტროიკა. 115. ციგა. 116. ვანგა. 117. პიგმენტაცია. 118. ოდენსე. 122. შტატივი. 123. სიგმა. 124. მარტოსული. 125. ბრგე. 130. ბრილიანტი. 131. ლენტი. 132. გერმანი. 137. პორცია. 138. აბორიგენი. 139. ჰიუგო. 140. ჭიჭიკო. 141. მოციონი. 142. ლაბორატორია. 143. პაზოლინი.

**შვეულად**: 1. ფიგუ. 2. მელქიორი. 3. სტრიტი. 5. აული. 6. კონდუქტორი. 8. მინერალი. 9. ნერუ. 11. რეფერი. 12. პრუტკოვი. 13. ელია. 14. მაგნატი. 15. შტატი. 16. დიმიტროვი. 20. სირტაკი. 21. აცეტილენი. 25. ეპოლეტი. 26. მათიუში. 27. ინტერვალი. 28. კოროზია. 33. მარსელი. 34. არიადნა. 35. ალკიბიადე. 39. ებრაელი. 40. ჰაინეკენი. 41. მიტროპოლიტი. 42. კრიმინალი. 47. კრიტიკოსი. 48. პერმი. 49. პოზიტრონი. 53. მიკროფონი. 54. სოფრონოვი. 55. ტრევი. 56. მორიელი. 61. მარიონეტი. 62. ვარნალისი. 63. ყვირილა. 67. მატრიარქატი. 68. ნეკროპოლისი. 69. ოკეანია. 73. პარნასი. 74. სტაფილო. 75. უზურპაცია. 80. სილოგიზმი. 81. კრაისლერი. 82. კონტინგენტი. 83. კინოფილმი. 87. იმპერატრიცა. 88. ტერეშკოვა. 89. ძმარი. 94. კორუნდი. 95. აკვარიუმი. 96. სტემფორდი. 100. ინტრიგა. 101. ადრესანტი. 105. სპაგეტი. 106. ანგიომა. 107. კენიგსბერგი. 108. სკანერი. 112. მაყვალა. 113. ანტანტა. 114. ტელევიზორი. 119. შტირლიცი. 120. მისტერია. 121. ალამი. 126. ლიეპა. 127. ბარბი. 128. გეენია. 129. ინდიგო. 133. არგო. 134. აგრო. 135. პიტი. 136. ზიჩი.

***მეცამეტე გვერდი***: **თარაზულად**: 1. კუპალა. 4. უფლისციხე. 8. საუნდთრეკი. 15. მემკვიდრეობა. 16. ამაყი. 17. მკათათვე. 20. რული. 21. ანონა. 22. ნეკრასოვი. 23. ძუნწი. 28. მრავალსახეობა. 29. კონანდოილი. 32. კეკელა. 33. სხვაობა. 34. ბაგრატი. 35. ოდრა. 39. სინანული. 40. ფილუმენისტი. 41. უფა. 45. ბრიგანტინი. 46. ტრაიანე. 47. სუიციდი. 51. სადია. 52. კერპი. 53. ამატერასუ. 54. ზმნა. 59. ილია. 60. ბაბაჯანიანი. 61. პოლიქრომია. 64. ჯამაგირი. 65. სტეპი. 66. პაულაუსკასი. 70. ყირმიზი. 71. ალვეოლა. 72. დისლალია. 76. ბელტი. 77. ოდეტა. 78. კენტუკი. 79. ესა. 85. კობე. 86. სეტლმენტი. 87. კნიპერი. 88. ედრი. 92. ჯორკაეფი. 93. მცონარე. 94. ინანიშვილი. 97. სავრასოვი. 98. კლაუსტროფობია. 102. ვალენტინი. 103. გალანტური. 104. ქვე. 109. პორტიერი. 110. სეკრეტერი. 111. კვარტეტი. 114. რენომე. 115. ბოქსიტი. 116. პლეთორა. 117. პელე. 121. აგერ. 122. ვენეროლოგია. 123. ანტოკოლსკი. 127. იფიგენია. 125. ნიჰილიზმი. 126. კირასირი. **შვეულად**: 1. კომპრაჩიკოსები. 2. პამელა. 3. ლევი. 5. ფრეინდლიხი. 6. იაბო. 7. ხამურაბი. 9. ნეკი. 10. თეთნულდი. 11. ერთაწმინდა. 12. იზეო. 13. ქდანოვი. 14. მყესი. 18. ბეკენბაუერი. 19. ავტოკრატი. 24. პროლონგაცია. 25. მალარია. 26. დასტა. 27. ვივალდი. 30. სკანდინავიზმი. 31. მარიონეტი. 36. კლიტე. 37. ბენიამინო. 38. უფიცი. 42. ინგეხაი. 43. სუბსტიტუცია. 44. კდემამოსილი. 48. სპრაიტი. 49. ტრბოვლე. 50. მადამ. 55. ბიუჯეტი. 56. სანრემო. 57. პილპილი. 58. პროკულუსი. 62. აგვისტო. 63. ჩარლსტონი. 67. უზრდელი. 68. მედეო. 69. ჯამაჰირია. 73. შერბური. 74. სტრელცოვი. 75. აკუპუნქტურა. 80. ოკუჯავა. 81. პერფორატორი. 82. ატენი. 83. ურენგოი. 84. ადგილის. 89. პარალელიზმი. 90. ბრილიანტი. 91. მშფოთვარე. 95. ოსანა. 96. კულტურული. 99. საფრანგეთი. 100. ბაგრატიონი. 101. ანტისემიტი. 105. სპარტაკი. 106. ბეისბოლი. 107. ლვარცოფი. 108. კერენსკი. 112. რომეო. 113. ათინა. 118. კენი. 119. ბიტი. 120. კოდა.



## მეცხრე გვერდი



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 2 | მ | 6 | ღ | 7 |
| ბ | 5 | ნ | 19 | ყ | 16 |
| გ | 22 | ო | 28 | შ | 26 |
| დ | 15 | პ | 12 | ჩ | 18 |
| ე | 4 | ჟ | 29 | ც | 11 |
| ვ | 27 | რ | 3 | ძ | 31 |
| ზ | 23 | ს | 9 | წ | 13 |
| თ | 25 | ტ | 24 | ჭ | 32 |
| ი | 33 | უ | 30 | ხ | 1 |
| კ | 14 | ფ | 20 | ჯ | 21 |
| ლ | 17 | ქ | 8 | ჰ | 10 |







***უნგრული ფოტოკროსვორდი***

**მეექვსე გვერდი**

აგუტინი, გურჩენკო, კაფელნიკოვი, უინსლეტი, ჩხიკვაძე, ნიქსონი, მაიაკოვსკი, სიმენონი, კოვალევსკაია, ქოჩარიანი, კარდინალე, ბელმონდო, გოლდბერგი, ჰემინგუეი, აინშტაინი, სტინგი, კონჩალოვსკი, სტრეიზანდი.

ი/ს **„ფანტაზია-2000“**
(ნატალია ბერიკიშვლი) რეგისტ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ №5/1-2304.
ტელ.: 79-53-70, (877) 72-61-18.
e—mail — sashiko45@ hotmail.com
გამოდის **ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების** რედაქტორობით
**რედკოლეგია**: ირაკლი ნაზღაიძე, გოგა ტარიელაშვილი, გიორგი ვეკუა, ლევან ელერდაშვილი



ტურნირი დასასრულს მიუახლოვდა. „ალო, ფანტაზიის“ მორიგ ტურნირს შემოდგომაზე დავიწყებთ. მოგებული თანხის მისაღებად დაგვიკავშირდით შაბათობით, საღამოს საათებში

# ალო ფანტაზია

დაგვირეკეთ - 79-53-70 ან 8.77. 72-61-18. ნუ დაგვივიწყებთ!

## მე-11 ტურის პასუხები და შედეგები

1. 69 „კაგებეს“ ჟარგონით ნიშნავდა ჯაშუშის გადაბირებას, საკუთარ მხარეზე გადაყვანას. 2. მარცხენა ძელი, მარჯვენა ძელი და ზედა ძელი. 3. „ფან“ არის ბრინჯი.4. 10 და 100 დოლარიანზე გამოსახული ადამიანები პრეზიდენტები არ იყვნენ.

მე-11-ე ტურში ოთხივე კითხვა გამოიცნეს: ნადეჟდა ელიზბარაშვილმა, მერი მამრიკიშვილმა, ვაჟა პაპუაშვილმა, თამრიკო დამენიამ, ზურაბ კიკილაშვილმა. მათ შორის განაწილდება საპრიზო 20 ლარი.

### თერთმეტი ტურის შემდეგ

**26** ქულა - მერი მამრიკიშვილი (7,30 ლარი), ვაჟა პაპუაშვილი (16,30 ლარი).

**25** ქულა - ნადეჟდა ელიზბარაშვილი (13,80 ლარი), ზურაბ კიკილაშვილი (4,00 ლარი).

**23** ქულა - სოფიკო დუნდუა (18,30 ლარი)

**20** ქულა - ნიკოლოზ წიქარიშვილი (5 ლარი), ანდრო მჭედლიშვილი (10 ლარი). **19** ქულა - მერაბ წიკლაური (2,50 ლარი). **17** ქულა - კობა დალაქიშვილი (1,50). **16** ქულა - ლელა კომახიძე (5,30 ლარი), სოლომონ მამუჩიშვილი (4,00). **15** ქულა - თამრიკო დამენია (8,30 ლარი) **14** ქულა - ვახტანგ ნანავა. **11** ქულა - ივანე ბერიანიძე. **10** ქულა - ნოდარ გოქაძე. **10** ქულა - თინათინ ციქურიშვილი (3 ლარი). **9** ქულა - ნატო მაღლაკელიძე. **8** ქულა - გოჩა ლობჟანიძე (1,50). **7** ქულა - ნანა მამულაშვილი. **5** - დიანა საღრიშვილი, ალექსი ჯუგაშვილი (3 ლარი), მალხაზ გოგნიაშვილი. **4** - ლია რუსეიშვილი (1,50), ნიკა სულაბერიძე.

## მე-12 ტური (19 მაისი, შაბათი, 18.00-19.30.)

1. არსებობს ასეთი ანეკდოტი:

ერთი აზერბაიჯანელი სამშობლოში დაბრუნდა. საზღვარზე იგი მებაჟეებმა შეამოწმეს და მოსთხოვეს სასწრაფოდ მოეხსნა ქართულ-სომხური წარმოების ქამარი.

**რა სახელი და გვარი ეწერა ქამარზე?**

2. 60-იან წლებში იმისათვის, რომ ზანგ მოსახლეობას შორის წერა-კითხვა გაევრცელებინათ, მათ აჩვენებდნენ იმ პროდუქციას, რაც აშშ-ში 30-იანი წლების დასაწყისიდან პრაქტიკულად აღარ იწარმოებოდა.

**რა იგულისხმება?**

3. პიკასოს ხატვის მანერა მოგეხსენებათ... ჰოდა, ერთხელ მან თავის გამოფენაზე უმასპინძლა სატირიკოს სტივენ ლიკოკს. „ეს მე ვარ“ - აჩვენა პიკასომ ნახატი, „ეს ჩემი ცოლია“ - აჩვენა მეორე ნახატი. ლიკოკს კი უცებ ძალზედ შეეცოდა ერთი არსება...

**ვინ?**




4. დავწეროთ გვერდიგვერდ „ქალის“ აღმნიშვნელი ორი ჩინური იეროგლიფი...

**რა ახალი სიტყვა მიიღება?**

## ფსევდონიმები

**134. ვერტმიულერი** ლინა - არკანჯელა ფელიჩე ასუნტა ვერტმიულერ ფონ ელგი. იტალიელი რეჟისორი და დრამატურგი.
**135. ვერტოვი** ძიგა - დენის კაუფმანი. რუსი კინორეჟისორი.
**136. ვესელი** არტემ - ნიკოლაი კოჩკუროვი. XX ს რუსი მწერალი.
**137. ვიიონი** ფრანსუა - ფრანსუა დე დე მონკორბიე. XV ს ფრანგი პოეტი.
**138. ვილდრაკი** შარლ-შარლ მესაჟე. XX ს ფრანგი მწერალი.
**139. ვიტი** მონიკა - მარიალუიზა ჩეჩარელი. იტალიელი კინომსახიობი.
**140. ვიშნია** ოსტაპ - პაველ გუბენკო. უკრაინელი მწერალი.
**141. ვლადი** მარინა - მარინა პოლიაკოვა-ბაიდაროვა. ფრანგი კინომსახიობი.
**142. ვოვჩოკი** მარკო - მარია ვილინსკაია-მარკოვიჩი. უკრაინელ-რუსი მწერალი ქალი.
**143. ვოლსი** - ალფრედ შულცე. XX ს ფრანგი მხატვარი.
**144. ვოლტერი** - მარი ფრანსუა არუე. ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი.
**145. ვრხლიცკი** იაროსლავ - ემილ ფრიდა. XIX-XX სს ჩეხი პოეტი.
**146. ვუდი** ნატალი - ნატაშა გურდინა. ამერიკელი კინომსახიობი.
**147. ვურღუნი** სამედ - სამედ იუსიფ-ოღლი ვექილოვი. XX ს აზერბაიჯანელი პოეტი.
**148. ვალტერი** ბრუნო - ვალტერ შლეზინგერი. გერმანელი დირიჟორი.
**149. ზალკა** მათე - ბელა ფრანკლი. XX ს უნგრელი მწერალი.
**150. ზარიანი** ნაირი - აიასტან ეგიაზარიანი. XX ს სომეხი მწერალი.
**151. ზიდაროვი** კამენ - ტოდორ მანოვი. ბულგარელი მწერალი.
**152. ზმაი** - იოვან იოვანოვიჩი. სერბი პოეტი.
**153. ზულფია** - ზულფია ისრაილოვა. უზბეკი პოეტი ქალი.

შემდგომი გაგრძელებით







შეადგინა გიორგი ვეკუა,

**თარაზულად:** 8. **იხილეთ ფოტო №1**. 9. თავსარქმელის სახესხვაობა. 11. სპორტული თამაშების ინვენტარი. 12. ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი. 13. მწერი, რომლის სახელი ჰქვია გუნდს „გრასჰოპერსი“. 14. ხეობა ქართლში. 15. დროშის ნაირსახეობა. 18. ჩონგურის კოლეგა. 20. „ (....) მოიდა შატილსა...“. 21. დიდი ინგლისელი მწერალი. 24. ფართო გზატკეცილი, პროსპექტი. 26. ევროპის სახელმწიფო. 27. „ვალენსიას“ ნორვეგიელი ფეხბურთელი. 28. უძველესი ქალაქი კარიაში, ცნობილი მავზოლეუმის ადგილი. 32. **იხილეთ ფოტო №2**. 33. შოუს მიჯნური (კინ.). 34. პირის ღრუს ანთება. 35. მყარი, სტაბილური ანუ?

**შვეულად:** 1. **იხილეთ ფოტო №3**. 2. უსაფუაროდ გამომცხვარი პური. 3. აშშ-ს შტატი. 4. აღიარებული ნაწარმოები. 5. შოთას ლექსი. 6. მოახლე ქალი ძველად. 7. ცნობილი ძველბერძენი მეცნიერი, ასტრონომი. 10. ნაგვის პატარა ნიჩაბი. 16. სისხლის და ლიმფისგან დამზადებული სამკურნალო პრეპარატი. 17. კნიაზის „მეორე ნახევარი“. 19. წყალბადის ერთ-ერთი იზოტოპი. 22. ძველებური სატყორცნი იარაღი. 23. ასეთი ქარიშხალიც არსებობს. 25. საქონლის საკვები ცილოვანი მცენარე. 29. საქართველოს ტელევიზიის აწ უკვე ყოფილი გადაცემა. 30. ძველი ციხე იმერეთის ტერიტორიაზე. 31. რა არის თუნდაც ეს: www.uefa.com. 33. ...მაშ, რა ერქვა ლაიზა მინელი დედას?

## 1000 კურიოზი

419. ქალი კოსმეტიკურ კაბინეტში შევიდა. მას ძველბერძნული პროფილი გაუკეთეს, ნაოჭები გაუსწორეს, ორმაგი ნიკაპი მოაშორეს, ცხიმისაგან გაათავისუფლეს და პირი ორჯერ დაუპატარავეს.
- ფართო და მეტყველი თვალების გაკეთება თუ შეგიძლიათ? - იკითხა ქალმა
- რა თქმა უნდა! მიართვით ქალბატონს ანგარიში.

420. - როგორი უნდა იყო იდეალური მდივანი ქალი?
- ოცი წლის... ოცდაათწლიანი სტაჟით.

421. Идёт заяц, курит сигарету и матерится. По дороге встречает корову. Та ему говорит:
- Заяц, ты такой маленький, а уже куришь и материшься!
Заяц ей в ответ (немного подумав) говорит:
- А ты такая большая и бюсгальтер не носишь

422. დიქტორი კითხულობს ტელეპროგრამას:
- ძვირფასო ტელემაყურებლებო, თუ თქვენ უფრო ყურადღებიანი იქნებით, მაშინ სარეკლამო პაუზებს შორის, მორბენალი სტრიქონის და ჩვენი ტელეკომპანიის ემბლემის უკანა ფონზე შეძლებთ ნახოთ ძალზედ საინტერესო ფილმი „მაკენას ოქრო“.

423. **კრიმინალური ინფორმაცია**
მოქალაქე მავანიშვილმა შრომა-გასწორებით კოლონიაში გაატარა სამი წელი, მაგრამ გამოსწორება ვერ მოასწრო - ხელი შეეშალა ამნისტიით.



